ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 14 იანვარი, 2019 №10 (7865) ფასი: 60 თეთრი

9 წლის გოგონას შანტაჟისთვის 30 წლის მამაკაცი დააკავეს

გვ.7

10 იანვრიდან
რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



„ოცნების“ ჩინოსნებმა მოსკოვში მასობრივად დაიწყეს ბინების შეძენა“

გვ.2

გიგლა ბარამიძე: „წამლებისა და სამედიცინო პირბადეების გაქრობა „ქართული ოცნების“ სააფთიაქო მაფიასთან არის პირდაპირ კავშირში“

„დასავლეთის დიპლომატიურ წრეებში ზურაბიშვილს არა პრეზიდენტად, არამედ მილიარდერ ივანიშვილის პოლიტიკურ გელფრენდად მოიხსენიებენ“

გია ნოდია: „პრეზიდენტმა გვითხრა, რომ არაფერი არ უნდა გააკეთოს“

გვ.5

დავით უსუფაშვილი: „ბესელია პარლამენტში უშიშროება-მართლმსაჯულების საყრდენი იყო“

„მისგან არ ველი ემოციურ-იდეალისტურ აფეთქებებს“

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილის განცხადება მისთვის წამგებიანი იყო“

გვ.3

სამართალი

პოლიციის უფროსის მოადგილე კობა დვალიშვილმა პროკურორი ურუმაშვილი ცემა

რა მოხდა ვანის რესტორანში

გვ.7



მარნეულში დედამ შვილი დაჭრა

ვინ არის ბიძინა ივანიშვილის უცნობი ძმისშვილი

„უკანონო ვარ, მაგრამ ხომ ვარ“

ეკონომიკა

გვ.5

რა ქონებას ფლობს ლევან კობიაშვილი და რა ინფორმაცია არ აქვს დეკლარაციაში მითითებული

კახა კალაძე „თიბისი ბანკზე“ — კონკრეტულად ამ „ქეისს“ არ ვიცნობ

გვ.6



ალექსანდრე ძნელაძე: „საბანკო რეგულაციებთან დაკავშირებით თვის ბოლომდე რაიმე ცვლილებას არ ველოდებით“

ISSN 1987-9385

4 სანდრო ბრეგაძე: „კოლექტიური მურუსიძე, ბოკერია და ნაციონალები ერთად გადავყაროთ პოლიტიკურ სანაგვეზე“

5 სომხეთიდან რუსეთის ჯარის გასვლას მოითხოვენ

6 სერგო რატიანი: „ხელისუფლებისთვის რუსეთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსოფლიოს პატრიარქი და უკრაინა“

8 გფბ ტრამპის კომპანიის რუსებთან კავშირს იძიებდა

„ოცნების“ ჩინოსნებმა მოსკოვში მასობრივად დაიწყეს ბინების შეძენა“

„დასავლეთის დიპლომატიურ წრეებში ზურაბიშვილს არა პრეზიდენტად, არამედ მილიარდერ ივანიშვილის პოლიტიკურ გელფრენდად მოიხსენიებენ“

შორენა მარსაგიშვილი

გიგლა ბარამიძე: „წამლებისა და სამედიცინო პირბადეების გაქრობა „ქართული ოცნების“ სააფთიაქო მაფიასთან არის პირდაპირ კავშირში“

უარყო თუ არა პრეზიდენტმა ივანიშვილი, სად გაუჩინარდა შს მინისტრი, რა ხდება ქვეყანაში, რატომ ყიდულობენ „ოცნების“ ჩინოსნები მოსკოვში სახლებს, რა სჭირს საზოგადოებას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

– თქვენ ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე განაცხადეთ „ახალ თაობასთან“, რომ თუ ზურაბიშვილს გაიყვანდნენ პრეზიდენტად, ძალიან მალე ის ივანიშვილსა და „ოცნებას“ განუდგებოდა. ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მისი გაპრეზიდენტება არც ერთი გუნდის დამსახურება არ არის. დაიწყო თქვენ მიერ დაანონსებული განდგომის პროცესი?

– ვიცით რა ამ ქალბატონის სწორხაზობრივი ფსიქოტიპი, ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რა ნაბიჯებს გადადგამდა დასაწყისში და რა ნაბიჯებს გადადგამს შემდეგში. საერთოდ, „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა გენერალიტეტმა პოლიტიკურად ისე გააუპატიურა პრეზიდენტის სტატუსი, რომ პრეზიდენტის განცხადებების კომენტარიც კი არ ღირს.

ექსკლუზიურად მინდა გითხრათ, რომ დასავლეთის დიპლომატიურ წრეებში ამ ქალს არა პრეზიდენტად, არამედ მილიარდერ ივანიშვილის პოლიტიკურ გელფრენდად მოიხსენიებენ.

ძალიან სიმბოლური იყო მისი პირველი პრესკონფერენცია. მინდა, მივმართო მას – ჩვენო კლარნეტის ჰანგებივით ტკბილო, პარიზელო პენსიონერო, აბა, რა კომენტარი სჭირდება შენს დუმილის უფლებას და შიგადაშიგ სისულელეების ბუუტურს. თუ მარტო გორჯისტანის პრეზიდენტი ხარ, პოლიტიკოსობა არ მოგეთხოვება, მაგრამ, თუ მაინც ბედკრული საქართველოს პრეზიდენტად მიგაჩნია თავი, პოლიტიკოსობა არ უნდა უარყო, სამზე მეტჯერაც რომ იყივლოს მამალმა.

სრულებით არ გამიკვირდა, როდესაც ამ ქალმა უარყო „ქართული ოცნება“ – არავის დამსახურება არ არის ჩემი გაპრეზიდენტებაო. ეტყობა, დაავიწყდა, საარჩევნოდ მისი პლაკატების ნაცვლად ივანიშვილისა და კობახიძის სურათები რომ გააკრეს. ეს თუ დაავიწყდა, წარმომიდგენია, რა პენალტებს შემოგვთავაზებს უახლოეს ხანებში. ჯერ სიტუაციას უყურებს და, როცა „ოცნება“ ძალიან დასუსტდება, მერე გამოაჩენს თავის კბილებს.

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ძალიან მალე გაუჩნდება პოლიტიკოსობის მადა და ლიდერობის სურვილი. ჯერ კოხტაპრუწობითა და მაღაზიებში სიარულით არის დაკავებული. მეგობრებთან სვეცკაობა რომ მოსწყინდება, მერე გამოუკეტავს მათ კარებს და დაიწყებს პოლიტიკოსობას.

რა საზოგადოებაც ვართ, ისეთი პრეზიდენტი, ისეთი პარლამენტი, ისეთი მთავრობა და ისეთი მოსამართლეები გვყავს. აღარაფერს ვამბობ ქურუმთქურუმზე.

– მოსამართლეები ახსენეთ და ამ ფრონტზე მიმდინარე ამბებს როგორ აფასებთ?

– შემთხვევით არ ვახსენე საზოგადოება, რომელიც ხმას არაფერზე არ იღებს. ხელისუფლება ამას კარგად იყენებს და ხალხს თავის ნებაზე ათამაშებს. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების ქვაკუთხედი ინკვიზიციური რეჟიმის გამამართლებელი და დამამკვიდრებელი სასამართლო კოჰორტის შეცვლა იყო.

მეშვიდე წელი დაიწყო და ყველა სისხლიანი მოსამართლე თავის ადგილზეა. ნაწილი უვადო მოსამართლე გახდა, ნაწილმა იუსტიციის საბჭოში გადაინაცვლა. ისე გატუტუცდნენ და გათავხედდნენ, რომ ახლა თავად გვთავაზობენ ასარჩევი მოსამართლეების სიას.

აქ ეკა ბესელია და მისთვის კაბინეტის გარემონტება არაფერ შუაშია. აქ მთავარი ისაა, რომ „ოცნება“ ხელისუფლებაში ხალხის მოტყუებით მოვიდა და ნაციონალებისგან თითქმის ყველაფერი დაიტოვა.

– სააკაშვილისა და რამდენიმე ადამიანის გარდა, მართლა ყველა დაიტოვა „ოცნებამ“.

– ყველა უკეთურობა დაიტოვეს, მერე, როცა გაუჭირდათ, ნიანგის ცრემლები ღვარეს, ოღონდ ახლა მოგვეცით ხმა და ყველაფერს შევცვლითო. ხალხი კიდევ ერთხელ მოტყუვდა, „ოცნებამ“ კი მაჟორიტარების გაუქმებასა და საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე უარი თქვა.

საუკუნის გამყალბებელი ქალბატონი ჟვანია, რომელიც გამოცდილებას ეგზოტიკურ კუნძულებზე იმაღლებს, მეორე ვადით დაგვისვეს ცესკოს თავმჯდომარედ.

ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, ეს ხელისუფლება ფულზეა გაწუწკებული. გადავხედოთ ჩინოსნების ქონებრივ დეკლარაციებს – საოცარ რამეებს აღმოვაჩენთ. სად გაგონილა, რომ საქართველოში ადამიანები ნათესავს 4 ბინას ჩუქნიდნენ. „ოცნების“ ჩინოსნების დეკლარაციების თანახმად, შესაძლებელი ყოფილა 4 ბინის ჩუქება. ამავე დეკლარაციებით, ჩინოსნებს 150.000 დოლარს, მიწის ნაკვეთებსა და სასახლეებსაც ჩუქნიან თურმე.

ამ სისულელის არავის სჯერა, მაგრამ „ოცნების“ წარმომადგენლები ამას უპრობლემოდ წერენ ქონებრივ დეკლარაციაში. ასე თამამად იმიტომ არიან, რომ ქვეყანა კორუფციის ჭაობშია ჩაფლული და ამათ ყველაფერი გასდის.

აბა, დავითვალოთ, რა ქონებას ფლობდნენ, სანამ ხელისუფლებაში დადებდნენ და რა ქონება აქვთ ახლა? ის ნათესავები სად ჰყავდათ მაშინ? მაშინ რატომ არ ჩუქნიდნენ ბინებს და სასახლეებს? ამათი საქმეების შესასწავლად ანტიკორუფციული ბიუროს შექმნაა საჭირო.

– სუსში ხომ არის ანტიკორუფციული ბიურო, ის ვერ შეისწავლის ასეთ საქმეებს?

– ამ საქმეების შესასწავლად ცალკე ანტიკორუფციული ბიურო უნდა შეიქმნას, რომელიც 1,5-თვიანი მუშაობის შემდეგ საქართველოს ბიუჯეტს, სულ მცირე, 1.5 მილიარდი დოლარის უძრავ-მოძრავ ქონებას დაუბრუნებს.

– კორუფციის მხრივ მართლა მძიმედ არის საქმე, მაგრამ კრიმინოგენური ვითარების თვალსაზრისით მთლად კატასტროფა ხდება. მსგავსი რამეები 90-იან წლებში თუ ხდებოდა.

– კრიმინოგენური ვითარება მართლა უმძიმესია. მივმართავ შს მინისტრს – გადმოგვხედე, დაგვეხმარე და გვასულდგმულე, ქართველო ფუშევ. კარგია სახელოაწეული სიარული და ბღვერა, მაგრამ კრიმინალებთან ბრძოლაც საჭიროა. ამას თვალის ჩაპაჭუნება არ შველის. ეს ერთი თვალის ჩაპაჭუნებას აღარ სჯერდება და უკვე ორივე თვალს აპაჭუნებს.

მისი მინისტრობის დროს დაიწყო მანქანებიდან საბურავების მოხსნა, მანქანების მინების ჩამტვრევა და იქიდან საფულეებისა თუ ჩანთების ამოცლა. გახარიას გამინისტრების პერიოდს დაემთხვა ქუჩებში ადამიანებისთვის ყელსაბამების ჩამოგლეჯა. ქუჩურ გარჩევებსა და იარაღის ტრიალზე აღარაფერს ვამბობ.

მივმართავ შს მინისტრს, ცოტა გაინძერით და გამოინძერით. როცა დაგჭირდათ, ჯერ კიდევ არსებული ქუჩა კარგად გამოიყენეთ არჩევნებზე. ახლა რა გჭირთ? რატომ ვერაფერს უხერხებთ ამ კრიმინალებს, სურვილი არ გაქვთ თუ ოპერატიული ინფორმაცია? მეტი მუშაობაა საჭირო. ხალხი ძალიან უკმაყოფილოა.

– ხალხი კი არა, დენიკინის დროინდელი ქალებიც აღშფოთებული არიან. ისე შეწუხდნენ კრიმინალების თავგასულობით, რომ გახარია აღარ ესიმპათიურებათ, არადა, ერთი თვის წინ მასზე ეცემოდნენ.

– დენიკინის დროინდელებს მერყევი გემოვნება აქვთ. თუ დენიკინის დროინდელებზე აწყობს პოპულარობას, მინდა ვუთხრა, რომ ეს ქვიშაზე აწყობილ პოპულარობას ჰგავს.

ამათთვის თვალის პაჭუნს ჯობია, საქმეს მიხედოს – წაილეკა თბილისი იარაღითა და ნარკოტიკებით.

– კრიმინალი როგორ უნდა ალაგოს იმ ხელისუფლებამ, რომელიც ელემენტარულ გრიპს ვერ უმკლავდება. ისევ თავად ამბობენ, რომ საქართველოში ეპიდემია არ არის. თუ ეპიდემია არ არის, როგორ მოახერხეს, რომ სამედიცინო პირბადეები აღარ იშოვებოდა ქვეყანაში? გაციების საწინააღმდეგო წამლებზე აღარაფერს ვამბობ.

– წამლებისა და სამედიცინო პირბადეების გაქრობა „ქართული ოცნების“ სააფთიაქო მაფიასთან არის პირდაპირ კავშირში. „ოცნების“ სააფთიაქო მაფიაზე ჯერ კიდევ როდის ვსაუბრობდი. ამ თემაზე მაშინ ავტეხეთ ხმაური, როცა აფთიაქებში ფსიქოტროპულ წამლებს ყიდდნენ. არაერთხელ მოვუწოდეთ სამართალდამცავებს, რომ მიეხედათ ამ საქმისთვის. ისინი ფარმაცევტებს დაერივნენ, წამლების შემომტანებს კი ხელი არ ახლეს. ან ვის ახლებდნენ ხელს, სააფთიაქო მაფიის წევრები პარლამენტში უსხედან და საბაჟოზე განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ.

– რა განსაკუთრებულ უფლებებზე საუბრობთ?

– საბაჟოზე არავინ აკონტროლებს მათ ტვირთებს. კაცმა არ იცის, რა დევს ამ შეფუთულ ტვირთებში.

შსს-ს ხუთჯერ შეუერთეს და ამდენჯერვე გამოყვეს კრიზისების მართვის სამსახური. ამ გაჭირვებულებს კრიზისი მარტო ბომბის ჩამოგდება ჰგონიათ. ისიც არ იციან, რომ დასავლეთში, ვირუსული გრიპიც კრიზისების ჩამონათვალში შედის.

როგორ შეიძლება ყველაფერს მოუმზადებელი შეხვდეს ქვეყანა. როცა ხანძარია, სახანძრო მანქანები არ გვყოფნის, როცა მსოფლიო დონის ტერორისტი აქ იბუდებს და ლამის სამხედრო ბაზას აწყობს, ბოლო მომენტამდე ვერაფერს ვიგებთ. ვერ ვაკონტროლებთ საზღვრებს და საქართველოში უპრობლემოდ შემოდის ნარკოტიკები. ცოტა ხანში ნარკოტიკების შემოტანა შეიძლება აღარ იყოს საჭირო – ადგილზე აპირებენ კანაფის პლანტაციების გაშენებას.

ვირუსულ გრიპსაც ასე მოუმზადებელი შეხვდა ქვეყანა. ელემენტარულად სამედიცინო ნიღბები და გრიპის საწინააღმდეგო წამლების მარაგი არ აღმოჩნდა ქვეყანაში. ახლა ეს წამლები იყიდება, მაგრამ ბევრად ძვირი ღირს, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

საავადმყოფოები გაძეძგილია და პაციენტები დერეფნებში წვანან. სანამ 15 კაცი არ გარდაიცვალა გრიპით, ხმა არ ამოიღეს. ორსახოვანი იანუსი გამიგია, „ოცნებაში“ ყველას ერთი სახე და ერთნაირი მეტყველება აქვს. ამ ერთსახოვანებს ვიღაცამ თავში ჩაუდო, რომ თურმე ამერიკაშიც არ აცხადებენ გრიპზე არაფერს თუ რამდენიმე ათასი ადამიანი არ გარდაიცვალა.

იმდენიც კი არ იციან, რომ ამერიკა 260 მილიონიანი ქვეყანაა, საქართველოში კი 3 მილიონი ადამიანიც აღარ ცხოვრობს. ჩვენისთანა პატარა ერისთვის 15 კაცის გარდაცვალებაც დიდი ტრაგედიაა.

რაღაც სისულელეებს იგონებენ და ამით იმართლებენ თავს. იმის აღიარება არავის სურს, რომ ვირუსს მოუმზადებლები შეხვდნენ. ელემენტარული გრიპის დროს სამედიცინო ნიღბები გაუთავდათ და რამე სერიოზული რომ მოხდეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა უბედურებაში ჩავვარდებით.

ესენი არიან ჩვეულებრივი ნახევარფაბრიკატები, რომელიც ერთმა კაცმა შეკრიბა და სკამებზე დადო. ისინი მხოლოდ ერთი რამისთვის არიან მზად – რაც შეიძლება მეტი მოიპარონ.

ყველაზე მეტად ქვეყანას კორუფცია რყვნის. ივანიშვილის ხელისუფლება ათჯერ უფრო კორუმპირებულია, ვიდრე გამსახურდიას, შევარდნაძისა და სააკაშვილის ჩინოსნები.

მათ შორის სხვაობა იმაშიც არის, რომ ძველები იპარავდნენ. ესენი იკანონებენ პარვას. შეუძლებელია 37.000 დოლარად სასახლეები აშენდეს, შეუძლებელია, სოციალურად დაუცველის სტატუსით მოხვიდე ხელისუფლებაში და რამდენიმე წელიწადში მილიონერი გახდე. ასევე წარმოუდგენელია, რომ რადგან დეპუტატი გახდი, ვიღაცამ ბინები და სახლები გაჩუქოს.

სახლები ვახსენე და ამ თემაზე ძალიან საინტერესო ანალიზი გავაკეთეთ. ძველ უბნებში გამალებით მიმდინარეობს მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა. აქ ბინების 90%-ს ჩინოსნები ყიდულობენ, დანარჩენი 10% ირანელები არიან.

რა შემოსავლები აქვთ ჩინოსნებს, რომ ორ-ორ, სამ-სამ, ოთხ-ოთხ ბინებს ყიდულობენ თბილისში, ბათუმში, ბაკურიანსა და გუდაურში. ბოლო დროს მოდაში შემოვიდა მოსკოვში ბინების ყიდვა.

– ჩვენი ჩინოსნები ყიდულობენ მოსკოვში ბინებს?

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილის განცხადება მისთვის წამგებიანი იყო“

რამაზ საყვარელიძე: „მხარეებს ჯერ ტყვიები ბოლომდე არ დაუცლიათ“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ივანიშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილზე თქვენ თქვით, რომ სხვა რაღაც ხდება. რა ხდება?

– „ქართულ ოცნებაში“ პროცესები უფრო ადრე დაიწყო. საზოგადოებას ახსოვს, თუ რატომ დაბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში, რომ გუნდის რღვევის პროცესი შეეჩერებინა. ეს მან თავად თქვა. მაგრამ ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ივანიშვილმა ერთი მხარე დაიჭირა, რითაც ის განხეთქილებაში ჩაერთო. ამით განხეთქილებას კი არ შეარბილებს, პირიქით, უფრო გაამძაფრებს.

ამიტომ ვამბობ, რომ შეიძლება, რაღაც სხვა ხდება, რაც ჩვენ არ ვიცით. შეიძლება, ეს უკვე არის ივანიშვილის შინაგანი გადაწყვეტილება, როდესაც ის უპირატესობას ერთ მხარეს ანიჭებს.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ივანიშვილმა საზოგადოებას მოუწოდა, გვერდით დასგომოდა და შემდეგ ის მიიღებდა იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ საზოგადოებისთვის იქნებოდა მისაღები.

დღეს კი ეკა ბესელიაზე უარის თქმა, რომელიც პირდაპირ მიბმულია ამ მოსამართლეების სიაზე, ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ უარს ამბობს მის მხარდამჭერებზეც, საზოგადოებაზეც, რადგან საზოგადოების განწყობა ამ სიასთან დაკავშირებით იმთავითვე ცნობილია.

– ანუ რა გამოდის?

– გამოდის, რომ იმ ადამიანებზე ამბობს უარს „ოცნება“, რომლებმაც არჩევნების ბედი გადაწყვიტეს და არა ახალგაზრდების იმ გუნდზე, რომელთა მხარესაც დღეს ივანიშვილი იხრება. ახალგაზრდების ეს გუნდი ივანიშვილს არჩევნებზე გვერდით ჰყავდა, მაგრამ ამ გუნდით არჩევნები ვერ მოიგო.

– პოლიტიკური თვალსაზრისით რამდენად სწორი გათვლაა ივანიშვილის მხრიდან ასეთი არჩევანის გაკეთება, ამ არჩევანით ხომ ის ამ სიას უჭერს მხარს?

– სწორედ ეს კითხვა მაქვს, ივანიშვილის მხარდაჭერით ამ მოსამართლეების „გათეთრება“ ვერ მოხდება ვერანაირად, ივანიშვილის „გაშავება“ კი შეიძლება მოხდეს.

– რატომ შეიძლება დგამდეს ამ ნაბიჯს? თუ, შესაძლოა, მართლაც აძლევს ვიღაცებს შანსს? ერთხელ თქვა, მურუსიძე სისტემის მსხვერპლი იყოო.

– პოლიტიკა მაინც პოლიტიკაა. ხანდახან რეალობაზე მეტად იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რას ფიქრობს ხალხი ამ რეალობაზე. შეიძლება, ივანიშვილი თავის ამ პოზიციაში სწორი იყოს, მაგრამ, თუ ხალხი ამას ვერ დაინახავს და ვერ გაიზიარებს, რა აზრი აქვს, რადგან მაინც ხალხის პოზიციაა გადამწყვეტი, რაც გამოჩნდა თუნდაც ამ არჩევნების მეორე ტურში.

ამიტომ გამიკვირდა ივანიშვილის ის წერილი, რომელიც მან თითქოს საგანგებოდ გამოაქვეყნა. რაში სჭირდებოდა ეს ღიაობა, ჩემთვის გაუგებარია. ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. რადგან, ვიმეორებ, ეს მისთვის პოლიტიკურად წამგებიანია.

– რა უნდა ექნა, პოზიცია ხომ უნდა დაეფიქსირებინა?

– პროცესს უნდა დალოდებოდა, ბოლომდე მიეყვანა. მისი სათქმელი სხვებს ეთქვათ, კვლავ ყოფილიყო ორაზროვნება, პოლიტიკური ჯოხი სხვაზე უნდა გადატეხილიყო. ახლა ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო. ეს არ არის სწორი გათვლა, ცხადია, პოლიტიკურად.

– თუ ამ ყველაფრის უკან სხვა რაღაც არ დგას?

– დიახ, თუ რაღაც სხვა მიზეზები არ არის, რაც ჩვენ არ ვიცით.

– გახსნის ფრჩხილებს ივანიშვილი?

– ვნახოთ.

– ბესელია ამბობს, რომ ორშაბათს ყველაფერს ილაპარაკებს. თითქოს ივანიშვილს დაემუქრა.

– ვნახოთ, რას ილაპარაკებს, ხშირად ყოფილა ასეთი განცხადებები, მაგრამ დიდი არაფერი მოჰყოლია. ვნახოთ, რას იტყვის. შეიძლება, ძალიან სერიოზული შინაარსი იდოს ამ სიტყვებში ან საერთოდ არაფერი. თუმცა, მე მაინც არ ველოდები, რომ ბესელია ივანიშვილზე მიიტანს იერიშს. ის ალბათ უფრო კობახიძეზე გააკეთებს აქცენტს. კობახიძე და ივანიშვილი, მოგეხსენებათ, ერთი არ არის.

მეორე მხრივ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ახლა უკვე ღიად ითქვას, თუ რატომ უპირებდა გუნდი ბესელიას ვიცესპიკერად, საპენსიო თანამდებობაზე გადაყვანას. ამის შემდეგ, შეიძლება, გარკვეული პრობლემები ბესელიას გაუჩნდეს. ჯერ მხარეებს ტყვიები ბოლომდე არ დაუცლიათ, გასასროლი ჯერ კიდევ არის.

– შეიძლება, ბესელიათი ამოიწუროს თუ კიდევ გაგრძელდეს?

– შეიძლება, გაგრძელდეს.

– იქნებ მეორე ტურის წინ ივანიშვილის მიერ დაანონსებული საკადრო პოლიტიკის გადახედვის პროცესი იწყება?

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ მაშინ სხვანაირად უნდა გაკეთდეს, სხვანაირად უნდა მიეწოდოს ეს ინფორმაცია საზოგადოებას.

ყველაფერი აირია, როდესაც მოსამართლეების თემას პირდაპირ მიება საკადრო საკითხები. საერთოდ არაფერ შუაში არ უნდა იყოს მოსამართლეების საკითხი. უნდა გამოსულიყო კობახიძე და ღიად ეთქვა, რატომ არ უნდა იყოს ბესელია იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე. მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა. მაშინ არავის სათქმელი არ ექნებოდა, რომ ეს სია ივანიშვილის მიერ არის მხარდაჭერილი.

ამიტომ, თუ პოლიტტექნოლოგიურად სწორად არ იქნა ნაბიჯი გააზრებული, პოლიტიკა დაუნდობელი რამ არის. ფაქტია, რომ ეს ნაბიჯი სწორად არ გადაიდგა. არ გამოვრიცხავ, რომ მიზანი იყო გარკვეული ადამიანების გვერდით გაწევა და გარკვეულის წინ წამოწევა.

ეს ივანიშვილის საქმეა და მის სამზარეულოში სხვა ვერ იქნება გადაწყვეტილების მიმღები, მაგრამ, თუ პროცესი წამგებიანი აღმოჩნდება ივანიშვილისთვის, მისი პოლიტიკისთვის, მაშინ რა აზრი აქვს?!

ეს უკვე გაუგებარია.

კორნელი კაკაჩია: „ბესელია მზად არის, გამწვავებაზე წავიდეს“

– საინტერესო იქნება ბესელიას მოსმენა, რადგან იგი პარტიის ერთ-ერთი ლიდერია და მის მიერ გაჟღერებულმა ინფორმაციებმა შეიძლება არა მხოლოდ პარტიის, არამედ ივანიშვილის იმიჯზეც იმოქმედოს, – ასე ეხმიანება „რეზონანსთან“ საუბარში პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია ეკა ბესელიას მუქარანარევ პასუხს ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე, რომ იგი ორშაბათს გაახმოვანებს პარტიაში არსებულ შიდა დაპირისპირებაზე თავის პოზიციას და ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

– ბესელია მზად არის, გამწვავებაზე წავიდეს. როგორც ჩანს, მას ბოლო წუთამდე ჰქონდა იმედი, რომ ივანიშვილი მას და მის გუნდს არ გაწირავდა, მაგრამ მისი განცხადების შემდეგ მიხვდა, რომ ეს ბრძოლა ივანიშვილის კარზე წაგებული აქვს. ფაქტობრივად, შეგუებულია აზრს, რომ „ქართული ოცნებიდან“ გაუშვებენ, ამიტომაც გადაწყვიტა, ნათელი მოჰფინოს იმ მოვლენებს, რომლებიც მმართველ გუნდში დღეს არსებობს, – აცხადებს კაკაჩია.

მისივე თქმით, ბესელიას მიერ სააშკარაოზე გამოტანილმა ინფორმაციამ შეიძლება არა მხოლოდ პარტიის, არამედ ივანიშვილის იმიჯზეც იმოქმედოს.

– საზოგადოებამ ნაწილობრივ მაინც იცოდა ივანიშვილის როლზე პარტიაში, მაგრამ, ვინ იყო ივანიშვილის შემდეგ გადაწყვეტილებების მიმღები მმართველ გუნდში, ამის გაგება საინტერესო იქნება. „ოცნება“ აქამდე როგორღაც ახერხებდა ერთობის შენარჩუნებას, მაგრამ ამის გაკეთება ამ ჯერზე გაუჭირდება, მით უმეტეს, თუ ბესელია და მისი გუნდი ოპოზიციაში გადავა, ეს სერიოზულ ზიანს მიაყენებს „ქართულ ოცნებას, – განაცხადა კორნელი კაკაჩიამ.

გია ხუხაშვილი: „ზურაბიშვილი ფრანგ პენსიონერად უფრო გრძნობს თავს, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტად“

– სალომე ზურაბიშვილი უფრო ფრანგ პენსიონერად გრძნობს თავს, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტად, – ასე გამოეხმაურა პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი პრეზიდენტის რანგში სალომე ზურაბიშვილის პირველ პრესკონფერენციას.

– ამბობს, რომ არანაირი სახელმწიფოებრივი თემები მას არ ეხება, მაგრამ იქ, სადაც თვლის, რომ მას შეეხნენ, მზად არის, შემზღუდველი ღონისძიებების გატარებაში მიიღოს მონაწილეობა. პრიორიტეტები მისი არის უფრო პირადი. ის არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ქვეყანაზე, შემოსავალსაც არ აიღებს, უფრო ფრანგ პენსიონერად გრძნობს თავს, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტად.

მან, ერთი მხრივ, ხელები დაიბანა, მაგრამ თქვა, რომ სათამაშოდ მას რაღაც საკითხები სჭირდება და ამ საკითხებით ითამაშებს. ითამაშებს სიტყვის თავისუფლების თემით, ითამაშებს იმით, რომ თითქოს, ის ხალხის არჩეული პრეზიდენტია, ანუ იპოვა კარგი სათამაშო – პრეზიდენტის კაბინეტი, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

მედიანიუსი

„ოცნების“ ჩინოსნებმა მოსკოვში მასობრივად დაიწყეს ბინების შეძენა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამოვშანთოთ ჩვენში ჩაბუდებულ ცნობიერებაში მონის ფსიქიკა, რომლის ოცნება თავისუფლების მოპოვება კი არ არის, არამედ ის, რომ თავად ჰყავდეს ბევრი მონა

– ივანიშვილის ჩინოსნები მოსკოვში, ტვერსკაიაზე ყიდულობენ უძრავ ქონებას. მოსკოვის გარდა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშიც ყიდულობენ ბინებს. სახლების გარდა, მაღაზიებსაც ყიდულობენ საზღვარგარეთ. ამ საკითხებს ჯერ ისევ ვამუშავებთ და უახლოეს მომავალში ძალიან საინტერესო ინფორმაციას გავასაჯაროებთ.

– მოდით, თემა შევცვალოთ და, როგორც თეოლოგს, უკრაინის ავტოკეფალიაზეც მინდა გკითხოთ. ქართულმა ეკლესიამ უნდა დაუჭიროს თუ არა მხარი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას?

– მინდა ვთხოვო პოლიტიკოსების ნაწილს, როცა თეოლოგიის აზრზე არა ხართ, თქვენს ადგილზე დაეტიეთ. თეოლოგობაზე პრეტენზია იოანე ოქროპირსაც არ ჰქონდა, თქვენ კიდევ „თხა და გიგო“ არ გაქვთ წაკითხული და თეოლოგობას იჩემებთ. რადგან არაფერი გესმით, მე გასწავლით, რომ საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებების მიღებას ზოგჯერ ათწლეულები ელოდებოდნენ. საქართველოს საპატრიარქოსა და პატრიარქს უკეთესად მოეხსენება, როდის და რა თქვას ამ საკითხზე.

ან ის რომ დაუჩემებიათ, უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია ვაღიაროთო, რომელი ვაღიაროთ? უკრაინის ეკლესია დღემდე სამ ნაწილად არის გახლეჩილი. ერთი ნაწილი რუსულ ეკლესიას ემორჩილება, მეორე ავტოკეფალიას უჭერს მხარს და სულ ახლახან გამოჩნდა დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესია.

ვთქვათ და ვაღიარეთ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე არ ვფიქრობთ? უკრაინის ავტოკეფალიის აღიარებას ის ხალხი ითხოვს, რომელიც მზადაა, სოხუმსა და ცხინვალზე უარი თქვას, ოღონდ ნატოში შევიდეთ.

დავუბრუნდები სასამართლოში მიმდინარე პროცესებს. აქ მიმდინარე რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანია. არჩევნებთან დაკავშირებით რომ ატარებენ გამოკითხვებს, არ აინტერესებთ, რას ფიქრობს სასამართლოზე ხალხი? ამ თემაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევა აუცილებელია.

– რა საჭიროა კვლევა? ისედაც ნათელია, რასაც ფიქრობს ხალხი.

– ესენი დღეში შვიდ ბრუნვაში რომ ატრიალო, იმდენად უღირსები არიან, რომ რეაქცია არ ექნებათ. მათ ერთი რამის ეშინიათ მხოლოდ – ხალხი არ გამოვიდეს ქუჩაში. სასამართლოსთან დაკავშირებით სწორედ საზოგადოებას უნდა ჰკითხონ აზრი და არა – კობახიძესა და ჩუგოშვილს, რომლებსაც თავისზე გრძელი ენები აქვთ წამოგდებული და აქეთ-იქით ატყლაშუნებენ. კობახიძისა და ჩუგოშვილის მიერ შედგენილი სია მურუსიძე-ჩინჩალაძის სიაზე უკეთესი არ იქნება.

იმედი მაქვს, რომ ხალხის აზრს გაითვალისწინებენ და მოსამართლეთა ამ შემადგენლობას არ დაამტკიცებენ. თუ დაამტკიცებენ, მოვა დრო და ხალხი მათ მაინც ასროლინებს კუდით ქვას.

ისევ მძიმე კრიმინოგენურ ვითარებას მინდა დავუბრუნდე. ხალხს დღისით, მზისით ყელსაბამებს გლეჯენ, სახლებს უწვავენ, ცეცხლსასროლი იარაღიდან ესვრიან, ამ დროს შს მინისტრი არსად ჩანს. მაინცდამაინც სადა ხარ ჩემო სულიკო უნდა ვუმღეროთ, რომ გამოჩნდეს? წალეკა ქვეყანა კრიმინალმა.

დაბოლოს, ქართული სახელმწიფოს დღევანდელობის მრუმე შუქჩრდილების ანატომია გრაფიკულად შეიძლება, ასე ავსახოთ:

სათავეში ერთი მდიდარი კაცი;

მის ქვეშ ტიკინებივით მოფართხალე მთელი ხელისუფლება;

კიდევ უფრო მის ქვეშ ქვეყნის მოქალაქეები;

სულ ქვევით კი, უძირო ჭაში მახინჯი ზებუ, რომლის ზარის ჩამოკვრას ყველა ელოდება, თუმცა ამაოდ;

არა სტრატეგია, არა მიზანი, არა პრიორიტეტები, მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ ჯერჯერობით გარდაუვალი და შეუქცევადი – როგორ შეინარჩუნოს სათავეში მყოფმა იმ მდიდარმა კაცმა სიმდიდრე და მდგომარეობა.

ახლა არ დამიწყოს ვინმემ, ეს როგორ – ჩვენ ქართველები ვართ, ევროპა ვართ, დემოკრატები ვართ. ნუ ხტუნაობთ, ბატონებო, თორემ, როგორც ახტებით, კიდევ უფრო მძიმედ დახტებით.

ეს არის ჩვენი პრიმიტიული რეალობა და ვინმეს დასანახად ხელოვნურად ნუ თაკილობთ ამას.

გსურთ, შეიცვალოს რაიმე? მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ამოვშანთოთ ჩვენში ჩაბუდებულ ცნობიერებაში მონის ფსიქიკა, რომლის ოცნება თავისუფლების მოპოვება კი არაა, არამედ ის, რომ თავად ჰყავდეს ბევრი მონა.

დავით უსუფაშვილი: „ბესელია პარლამენტში უშიშროება-მართლმსაჯულების საყრდენი იყო“

„მისგან არ ველი ემოციურ-იდეალისტურ აფეთქებებს“

იაგო ნაცვლიშვილი

„ივანიშვილი თვლიდა, რომ მურუსიძის კრიტიკით სასამართლოს ძირს ვუთხრიდით“

უზენაესი სასამართლოს კანდიდატებსა და „ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებაზე ბიძინა ივანიშვილმა განცხადება გაავრცელა, სადაც ისაუბრა იმაზე, რომ უზენაესში 28 მოსამართლიდან მხოლოდ 10 მოსამართლეა.

პირველი პრესკონფერენცია გამართა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმაც, რომელმაც მოსამართლეების თემაზე პოზიცია არ გააჟღერა, არაფერი თქვა არც უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიაზე, მან არც იმაზე ისაუბრა, არის თუ არა ხარვეზები კონსტიტუციის ახალ რედაქციაში და თქვა, რომ პრეზიდენტს დღევანდელი უფლებამოსილების ფარგლებში ამის კომპეტენცია არ აქვს. სამაგიეროდ, მან კიდევ ერთხელ გააჟღერა იდეა ცილისწამების დასჯადობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე „ახალი თაობა“ „შენების მოძრაობის“ ლიდერს, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს ესაუბრა.

– თქვენ როგორ გაიგეთ ბიძინა ივანიშვილის განცხადება. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ივანიშვილი მხარს უჭერს უზენაესის მოსამართლეების წარდგენილ სიას?

– რა თქმა უნდა, მხარს უჭერს. მის განცხადებაში ყველა პასაჟი დამატებითი განხილვებისა და რაღაცების შესაძლო ცვლილების თაობაზე იყო იძულებითი, გამოწვეული შიდაოცნებური აშლილობით და არა – საკითხის არსის სხვაგვარად გააზრებით.

– თქვენ ასე გაიგეთ, რომ ივანიშვილი ამ სიას მხოლოდ მხარს უჭერს თუ ისიც დაინახეთ, რომ ეს სია წინასწარ იყო შეთანხმებული მასთან იუსტიციის საბჭოს მიერ?

– ეს სია მისი უშუალო დასტურის გარეშე არათუ პარლამენტამდე ვერ მიაღწევდა, იუსტიციის საბჭოს წევრებსაც კი ვერ წარედგინებოდა. არა მგონია, რომ ის პირადად ღრმად არის ჩახედული თითოეულის ბიოგრაფიაში ან კვალიფიკაციაში, მაგრამ გაცნობილია მისთვის სანდო წყაროს მიერ თითოეულზე გაცემულ „ოცნებასთან შესაბამისობის სერტიფიკატს“.

– რატომ შეიძლება უჭერდეს ამ კანდიდატურებს მხარს ივანიშვილი, ამაზე რა პასუხი გაქვთ?

– ივანიშვილმა გვითხრა, რომ ქვეყანაში დარღვეულია სახელისუფლებო ვერტიკალი და მის გასამყარებლად დაბრუნდა პოლიტიკაში. ამგვარი ვერტიკალი, ანუ „გადაწყვეტილებების ოცნებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სისტემა“ მას სასამართლოში უკვე შექმნილი აქვს და იგი დაფუძნებულია ამ სიაში წარმოდგენილ რამდენიმე ადამიანზეც. გამოდის, რომ რასაც ის „გაკეთებულად“ თვლის და რის „გამყარებასაც“ ცდილობს, ვიღაცები იმას „ურყევენ“. ბუნებრივია, შეეცდება, ეს არ დაუშვას.

– ის ფაქტი რაზე მეტყველებს, რომ ივანიშვილი, ფაქტობრივად, ყველას გაემიჯნა რამდენიმე პირის გამოკლებით, ვისთან ერთადაც ხელისუფლებაში მოსასვლელად 2012 წელს იბრძოდა, დაწყებული კოალიციის დაშლით, სადაც თქვენც იყავით და გაგრძელებული პარტიით?

– ადვილია, 55 წლის ასაკში პილოტი ქირურგი გახდეს ან პირიქით? ცხოვრების წესი და მეთოდები, რომლებმაც მას საოცნებო კი არა, ზღაპრულ-დაუჯერებელი წარმატება მოუტანა და მსოფლიო ოლიმპზე აიყვანა, გამოსადეგი აღმოჩნდა ძალაუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ არა პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებისთვის. მეტიც, სააკაშვილს რომ არ გადაეყვანა ქვეყანა პოლიტიკური ცხოვრების რელსებიდან, ივანიშვილი ვერც საძალაუფლებო ბრძოლაში იქნებოდა წარმატებული. სხვაგვარად რომ ვთქვა, 2012 წლის საარჩევნო კამპანიაც და არჩევნებიც უფრო ივანიშვილისთვის ნაცნობი „ან მე, ან შენ“ სტილის შეჯახება იყო, ვიდრე ცივილიზებული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი – „მე ამდენი, შენ იმდენი“.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იჩინა თავი ივანიშვილის არსენალში არსებული მეთოდების შეუსაბამობამ დალაგებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მას მხოლოდ ბოლომდე კონტროლირებად სისტემაში შეუძლია ოპერირება. მან ვერ მოახერხა განსხვავების დანახვა „მის ბანკსა“ და „მის სამინისტროს“ შორის. როგორც მოეპყრობოდა „მისი ბანკის“ არასაკმარისად ერთგულ თანამშრომელს, ისევე ეპყრობოდა „მისი კოალიციის“, „მისი პარტიის“, „მისი სამინისტროს“ წარმომადგენელს, რომელიც „სხვა ღმერთსაც“ აღიარებდა. ასეთია „და სხვაგვარად არ ძალუძს“.

– დაპირისპირებული მხარე ივანიშვილს მაინც არ აკრიტიკებს მწვავედ. აკრიტიკებენ გუნდს, უპირისპირდებიან მოსამართლეების საკითხს, მაგრამ ივანიშვილის ბოლომდე კრიტიკას მაინც ერიდებიან. რატომ?

– 2014 წლის შემოდგომიდან, როდესაც ყველა არჩევნები ჩატარდა, ყველა კოჰაბიტაცია დამთავრდა და აღარ დარჩა არც ერთი არგუმენტი „ოცნების“ სადამფუძნებლო პრინციპებიდან გადახვევისთვის, კოალიციის წევრთაგან ყველამ თავისი არჩევანი გააკეთა – ზოგი გაემიჯნა კოალიციას; ზოგი დარჩა და შიგნით გააგრძელა ბრძოლა ამ პრინციპებისთვის; ზოგიც ბოლომდე ჩაბარდა „ბიძინურ-ოცნებური მიზანშეწონილობის“ დოქტრინას. ამ უკანასკნელთათვის ადვილი არ არის ამდენი წლის შემდეგ ივანიშვილთან მასშტაბური შეჯახება, გასაგები მიზეზების გამო.

– თქვენ თუ გქონდათ რაიმე ტიპის კომუნიკაცია ბესელიასთან და იმ დეპუტატებთან, რომლებსაც პრინციპული პოზიცია აქვთ ამ თემაზე?

– კომუნიკაცია ბევრ დეპუტატთან მაქვს და საკმაოდ საინტერესოც. ეკა ბესელიასთან ბოლო მოვლენებზე არ მქონია საუბარი. ამ საკითხში დღეს გათამაშდა შარშან გაზაფხულზე გადადებული პარტია.

ბესელია უშიშროება-პოლიციისა და პროკურატურა-მართლმსაჯულების სისტემის საყრდენი და, ამასობაში, კვალიფიციური ფიგურა იყო პარლამენტში, რომლის გარეშეც არც შესაბამისი საკანონმდებლო საკითხები წყდებოდა და არც საკადრო. როგორც ჩანს, ამ სფეროზე გავლენის ინტერესი სხვასაც გაუჩნდა. ალბათ იყო სხვა მიზეზებიც, რის გამოც განიზრახეს მისი „უეპოლეტებო გენერლად“ ჩამოვიცესპიკერება.

– ივანიშვილმა ახსენა ბესელიაც და თქვა, რომ 1 წლის წინ გადაწყდა კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადაყენება. ბესელია დეტალებზე ორშაბათს ისაუბრებს. რას ელოდებით? თანამოაზრეებთან ერთად „ოცნებიდან“ წავა?

– ეკა საკუთარი ინტერესების დამცველი პოლიტიკოსია და მისგან არ ველი ემოციურ-იდეალისტურ აფეთქებებს.

– თავის დროზე რატომაც კოალიცია დატოვეთ, ერთ-ერთი მიზეზი მოსამართლეების მხარდაჭერა იყო. თინა ხიდაშელმა თქვა, რომ ივანიშვილი მურუსიძის მხარდაჭერას ითხოვდა. როგორ და რა ფორმის მოთხოვნა იყო ეს?

– ივანიშვილი თვლიდა, რომ მურუსიძისა და კიდევ რამდენიმე მოსამართლის კრიტიკით, მათ დაწინაურებაში ხელის შეშლითა და მათ მიერ სათავისოდ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებების უარყოფით ჩვენ სასამართლოს ვუთხრიდით ძირს.

მას არ შეეძლო ჩვენთვის რაიმეს აკრძალვის ან დაძალება, მაგრამ აქტიურად გვანამუსებდა და გვირჩევდა. ცხადია, ეს მისთვის დიდი დისკომფორტი იყო და ამიტომაც არჩია პოლიტიკური ცხოვრების უფრო კომფორტულად გაგრძელება.

– პრეზიდენტი ჟურნალისტებს შეხვდა. რა გზავნილები დაინახეთ მისი განცხადებებიდან, რომლებიც საკმაოდ ფრთხილი იყო. არ გამოხატა პოზიცია ბევრ საკითხზე, სამაგიეროდ, ისაუბრა ცილისწამების კანონის ინიციატივაზე. როგორია თქვენი შეფასება?

– მოქმედი პრეზიდენტი ასე ყველა ძირითად სახელმწიფოებრივ საკითხზე თვითდისტანცირებდეს, ძალიან საოცარი და ძალიან სამწუხაროა. ღმერთმა ქნას, ეს იყოს მძიმე საარჩევნო კამპანიით გადაღლილი ყოფილი კანდიდატის და არა მომავალი 6 წლით სახელმწიფოს მეთაურის სტილი, სტანდარტი და როლი.

– ოპოზიციის როლს როგორ ხედავთ? მიმდინარეობს თუ არა კონსულტაციები ვინმესთან?

– „შენების მოძრაობა“ შეიქმნა და არსებობს მკაფიო გენეტიკური კოდით – საჭიროა ქვეყნის უკეთესად მართვის შემძლე მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმირება. ამ ამოცანას სჭირდება რამდენიმე ათეული ისეთი პოლიტიკური ფიგურის ერთად დადგომა, რომელთაგან თითოეულს აქვს პოტენციალი, გაუძღვეს დღევანდელი ქართული სტანდარტის ცალკე პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ ამის ნაცვლად ერთიანდება ბევრლიდერიან ორგანიზაციაში.

მხოლოდ ასე შეიძლება მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებების პოლიტიკური ალტერნატივის შექმნა. სწორედ ამიტომ არ ვართ ჩვენ პარტიად ფორმირებული და ვრჩებით ასეთი სერიოზული პარტიის ერთ-ერთი კომპონენტობისთვის მზაობის რეჟიმში.

– თანამშრომლობა ვისთან წარმოგიდგენიათ და რა ფორმატში?

– მეც და ბევრ სხვასაც ამოცანად გვაქვს არა ჩემი და ჩვენი მხარდამჭერების შემოკრება, არამედ ისეთი ახალი და საშუალო თაობის პროფესიონალების პოლიტიკაში ჩაბმა, რომლებსაც მე და ჩვენ დავუჭერთ მხარს ხვალინდელ არჩევნებში.

ამ საკითხებზე და ამ მიზნით ბევრთან მაქვს მუდმივი კომუნიკაცია.

„კოლექტიური მურუსიძე, ბოკერია და ნაციონალები ერთად გადავყაროთ პოლიტიკურ სანაგვეზე“

შორენა მარსაგიშვილი

სანდრო ბრეგაძე: „ივანიშვილის ნებართვის გარეშე თანამდებობაზე ვერავინ დაინიშნება“

ვისი დავალებით მოქმედებენ ნორჩი ბიძინელები, რატომ ცდილობს ივანიშვილი სასამართლო სისტემის გაკონტროლებას, რატომ არა აქვთ ხმა ამოსაღები ბოკერიასა და უგულავას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

სანდრო ბრეგაძე:

– გულისამრევი მარაზმია, როცა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე გიგა ბოკერია, ხატია დეკანოსიძე და სხვა პირსისხლიანი ჯალათები საუბრობენ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თავის დროზე სასამართლოს გაუპატიურება და კოლექტიურ მურუსიძედ ჩამოყალიბება სწორედ ბოკერიას ხელით მოხდა.

როცა ეს ხდებოდა, გიგა ბოკერია პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში წამყვან პოზიციაზე იყო. შემდეგ უშიშროების საბჭოში გადაიყვანეს. დღეს გიგა ბოკერია და მისნაირები სამართლიანობის დარაჯებად გვევლინებიან.

– „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ ყველას მოუწოდა, კოლექტიურ მურუსიძეებს სირცხვილის დერეფნები მოვუწყოთო. თქვენ თუ მიიღებთ ამაში მონაწილეობას?

– მათთან ერთად მურუსიძის საწინააღმდეგო აქციაშიც კი არ მივიღებ მონაწილეობას. ეს მათ ახადეს ნამუსი სასამართლოს და უხერხულია, როცა ბოკერია და უგულავა წესიერებაზე საუბრობენ.

კოლექტიური მურუსიძე ვიცით, რა ხილიცაა, მაგრამ, ასევე კარგად ვიცით, რა ნაგავიცაა კოლექტიური ბოკერია და ნაციონალური მოძრაობა. არის რაღაცები, რასაც აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას.

ქართველი ხალხის მთავარი ამოცანა დღეს არის შემდეგი – კოლექტიური მურუსიძე, კოლექტიური ბოკერია და ნაციონალური მოძრაობა ერთად უნდა გადავყაროთ პოლიტიკურ სანაგვეზე. მათი ადგილი სანაგვეზეა და არა – პარლამენტში და სასამართლოში.

ეს ავაზაკები ხმის ამოღებასაც ვერ გაბედავდნენ, თავის დროზე მათთვის ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი რომ მოეთხოვათ.

მოსამართლეების ამბავზე კი მიკიბვ-მოკიბვის დრო აღარ არის და სათქმელი პირდაპირ უნდა ვთქვათ – ბიძინა ივანიშვილის გარეშე არც მთავრობა და არც პარლამენტი გადაწყვეტილებას არ იღებს.

ამას გეუბნებით, არა როგორც რიგითი მოქალაქე, არამედ როგორც „ოცნების“ მინისტრთა კაბინეტის ყოფილი წევრი.

მე ნამდვილად კარგად ვიცი, რა ხდება მთავრობაში – ივანიშვილის ნების გარეშე არათუ მოსამართლედ, პატარა თანამდებობაზეც არ ინიშნებიან ადამიანები. ზარდიაშვილები, თალაკვაძეები, კობახიძეები და სხვა ნაცკომკავშირლები „ოცნების“ ლიდერის სურვილების გამხმოვანებლები არიან მხოლოდ.

მისი დავალებით ახმოვანებენ ნორჩი ბიძინელები იმას, რომ მურუსიძეები და ჩინჩალაძეები უნდა იყვნენ სასამართლოში.

– ამ საქმეში ზარდიაშვილი და კობახიძე უმწიკვლოები არიან?

– მათ თავიანთი ცოდვებიც ეყოფათ, მაგრამ მოსამართლეების დანიშვნას არავინ ეკითხება. ივანიშვილმა ეს ნაცკომკავშირლები იმიტომ დააწინაურა, რომ იცის, რაც უნდა მარაზმატიკული გადაწყვეტილება მიიღოს, ისინი კითხვასაც კი არ დაუსვამენ.

– რადგან ნორჩი ბიძინელები არაფერ შუაში არიან, მაშინ ის გვითხარით, ივანიშვილი რატომ უჭერს მხარს ასეთ სახელგატეხილ მოსამართლეებს?

– როგორც ჩანს, ის კომუნისტური მენტალიტეტის მატარებელი ადამიანია. შესაბამისად, გაუჩნდა სურვილი, რომ ყველაფერი მის ხელში იყოს, განსაკუთრებით სასამართლოს გაკონტროლება უნდა.

ის ფიქრობს, რომ თუ მურუსიძემ და ჩინჩალაძემ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს ყველა სიბინძურე გაუპრავეს, მასაც შეუსრულებენ ყველაფერს. ეს ასეც იქნება.

ყველამ კარგად იცის ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ, მაგრამ ერთი რამე აუცილებლად უნდა ვაღიარო – მისი მმართველობის ბოლო პერიოდში სასამართლო ბევრად თავისუფალი იყო, ვიდრე ახლა. არადა, ივანიშვილი ისეთი დემოკრატიის დამკვიდრებას აპირებდა, რომელიც ევროპასაც გააოცებდა.

– ზემოთ თქვით, რომ ივანიშვილს უნდა ყველაფერი გააკონტროლოს. ეს მისი კომუნისტური მენტალობის ბრალია თუ, როგორც გიგი უგულავა ამბობს, რეპრესიების დაწყებას აპირებს?

– ჩემი აზრით, აქ მთავარია მენტალობა. არიან ადამიანები, რომლებსაც სისხლიანი ჯალათები, მაგალითად, ნერონი და კალიგულა მოსწონთ. ზოგს შინაურ ცხოველად ჰყავს ფისო და საყვარელი ძაღლი, ზოგს კი – კაციჭამია ზვიგენი.

ჩემდა სამწუხაროდ, ბატონი ივანიშვილი არ აღმოჩნდა დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი. ის კომუნისტებიდან მოდის და ამ მენტალობას ვერაფრით დააღწია თავი. ის ნორჩი ბიძინელები კი არგასაზრდელი ბავშვებივით არიან. არ მესმის, ახალგაზრდა ადამიანი ყველაფერზე როგორ უნდა წავიდეს.

ესენი ყველაფერზე მიდიან და, შესაბამისად, საქართველოს ფეკალურ მარაზმში უწევს ცხოვრება.

– ამ მარაზმს როგორ უნდა დაავღწიოთ თავი?

– ერთიანობით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოება ამ სამარცხვინო მოსამართლეების დანიშვნას არ დაუშვებს. მე პირადად ყველანაირ წინააღმდეგობას გავუწევ.

გია ნოდია: „პრეზიდენტმა გვითხრა, რომ არაფერი არ უნდა გააკეთოს“

„ზურაბიშვილს სასამართლოს საკითხი თუ არ ეხება, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა რატომ ეხება?!“

იაგო ნაცვლიშვილი

სალომე ზურაბიშვილის გზავნილებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ნოდია აფასებს:

– რა შთაბეჭდილება დაგრჩათ სალომე ზურაბიშვილის პირველი პრესკონფერენციიდან? მან არ გააკეთა შეფასება არც ერთ ფუნდამენტურ საკითხზე, სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ გააჟღერა ცილისწამების კანონის დანერგვაზე თავისი მოსაზრება.

– ჩემი შეფასება ასეთია, რომ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ქალბატონ სალომეს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს მან, როგორც პრეზიდენტმა. რაშია მისი უფლებამოსილება? ის პირველი პრეზიდენტია, რომელიც შესწორებული კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედებს. მისი უფლებამოსილება შეკვეცილია, თუნდაც გიორგი მარგველაშვილის უფლებამოსილებასთან შედარებით.

საზოგადოებას სრულიად ბუნებრივი კითხვები აქვს, რა უნდა გააკეთოს ასეთმა პრეზიდენტმა. რაღაცნაირად ამაზეც უნდა მიგვეღო პასუხი. პრაქტიკულად, პასუხი მივიღეთ, რომ არაფერი არ უნდა გააკეთოს. საერთოდ არ ჩანს მისი პასუხებიდან ან მისი გამოსვლიდან, რაში ხედავს ის თავის როლსა და ფუნქციას.

უბრალოდ, რაზეც თვითონ ჩათვლის საჭიროდ, რაღაც საკითხზე შეიძლება გამოთქვას მოსაზრება. მხედველობაში ცილისწამების საკითხი მაქვს. თუმცა, აქაც გამოდის, რომ ესეც მისი პირადი აზრია – თუ არ ეხება სასამართლოს საკითხი, მაშინ რატომ ეხება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხი?!

– ორმაგ სტანდარტთან ხომ არ გვაქვს საქმე, როდესაც, ერთი მხრივ, ამბობს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებს და შეფასებებს არ აკეთებს, ამავე დროს, არ აქვს ინიციატივის უფლება, მაგრამ მოსაზრებებს აჟღერებს?

– რა თქმა უნდა. თუ არაფერი ეხება, ესეც არ ეხება. მაშინ ამაზე რატომ ლაპარაკობს?! ცხადია, ამას შეიძლება ორმაგი სტანდარტი დავარქვათ ან თვითნებობა. რაზეც მას მოეპრიანება, იმაზე საუბრობს. რატომღაც ეს თემა აინტერესებს და ამაზე საუბრობს, ხოლო რასაც არ თვლის საჭიროდ ან არ აინტერესებს, იმაზე ამბობს, ეს არ მეხებაო.

შთაბეჭდილება რჩება, რომ პირადი კაპრიზის საფუძველზე ირჩევს ისეთ თემებს, რომელთა შესახებაც ილაპარაკებს ან არ ილაპარაკებს.

– რისი დაპირისპირება შეიძლება ამისთვის საზოგადოების იმ ნაწილის მხრიდან, ვისაც უნდა, რომ პრეზიდენტი იყოს უფრო მეტის მთქმელი, თუნდაც ისეთი, როგორიც წინა პრეზიდენტი იყო?

– ამას ვერაფერს დაუპირისპირებ. პრეზიდენტი არჩეულია. მას აქვს 6-წლიანი მანდატი და არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ გვაქვს ჩვენ, რომ ის გავხადოთ უფრო აქტიური ან უფრო პრინციპული. ის ისეთია, როგორიც არის.

ბევრს არ მოსწონდა გიორგი მარგველაშვილი. ვიღაცას იმის გამო არ მოსწონდა, რომ რაღაცას ამბობდა, ვიღაცას იმის გამო, რომ არასაკმარისს ამბობდა, მაგრამ ამასაც ვერაფერი ეშველებოდა. ამ შემთხვევაშიც ვერავინ ვერაფერს უშველის ამ ამბავს. ვინც აირჩია, აირჩია ასეთი პრეზიდენტი.

– ასეთივე დარჩება და მის ქმედებებში ცვლილებები არ იქნება? ასეთი შთაბეჭდილება დაგიტოვათ პირველმა პრესკონფერენციამ?

– წარმოდგენა არ მაქვს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შეიძლება შეიცვალოს, შეცვალოს მოქმედებები ან დარჩეს ისეთი, როგორიც დღეს არის.

– დაბნეული ხომ არ მოგეჩვენათ?

– სიმართლე გითხრათ, ეთერში არ მინახავს მისი გამოსვლა, უბრალოდ, ვიცი მისი გამონათქვამების შინაარსი. ის დიდი ხანი იბრძოდა პრეზიდენტობისთვის. ჯერ კიდევ წინა პრეზიდენტის არჩევის დროსაც ჰქონდა ამის პრეტენზია, რომ კენჭი ეყარა. არჩევნებისთვის ემზადებოდა. შემდეგ უკვე საკმაო დრო გავიდა იმის შემდეგ, რაც ის აირჩიეს. ჰქონდა შესაძლებლობა, დაესვენა და გაეაზრებინა, რის გაკეთებას აპირებს. ასე რომ, თუ კიდევ დაბნეულია, ეს, როგორც მინიმუმ, უცნაურია.

– მას ჰქონდა ერთი საინტერესო პასაჟი, თქვა, რომ მისი პრეზიდენტობა რომელიმე გუნდის კი არა, ქართველი ხალხის დამსახურებაა. ეს რაზე მეტყველებს?

– ეს მეტყველებს ერთ რამეზე, არ მინდა, უხეში სიტყვა ვთქვა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საკმაოდ აგდებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს პოლიტიკური რეალობისა და ამომრჩევლის მიმართ. არ ბნელა, ხომ ვიცით, როგორც ჩატარდა არჩევნები.

კი, ვიცით, რომ არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც სალომე ზურაბიშვილი მოსწონთ და იმიტომ მისცეს ხმა, მაგრამ რეალურად იმიტომ აირჩიეს, რომ ის არის ბიძინა ივანიშვილის რჩეული. მმართველმა პარტიამ და მთლიანად სახელმწიფო აპარატმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ის არჩეულიყო. ახლა რომ ამბობს, საერთოდ რა შუაშია მმართველი პარტია და მე ჩემით მოვიგეო, ეს ერთგვარი თავხედობაც არის.

– მათ შორის მმართველი პარტიის მიმართაც?

– პირველ რიგში, ჩვენ მიმართ. შესაძლოა, მმართველ პარტიას მოელაპარაკოს და თქვას, რომ ეს ასეა და, მოდით, ასე ვილაპარაკოთ, რადგან ეს ორივესთვის მომგებიანია. შესაძლოა, ეს მათ მიმართაც უმადურობაა. არ ვიცი, რა მოლაპარაკება აქვს ბიძინა ივანიშვილთან ამ საკითხზე, მაგრამ ჩვენ მიმართ ნამდვილად თავხედობაა, იმიტომ, რომ თვალში ნაცრის შეყრაა.

– მოლაპარაკების საგანი ივანიშვილთან ისიც ხომ არ იქნებოდა, რომ მას ფუნდამენტურ საკითხებზე არ ესაუბრა?

– სავსებით შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ეს ბიძინა ივანიშვილისთვის მომგებიანია. ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ პრეზიდენტს მნიშვნელობა არ აქვს. პრეზიდენტი ერთგვარი ორნამენტი და სამშვენისია სახელმწიფო სისტემაში, მას არავინ არაფერს ეკითხება და მისთვის მაქსიმალურად კომფორტულია, რომ ასეთი პრეზიდენტი ჰყავდეს.

სომხეთიდან რუსეთის ჯარის გასვლას მოითხოვენ

მარიამ მჭედლიშვილი

მას შემდეგ, რაც ხავერდოვანი რევოლუციის შედეგად სომხეთში ხელისუფლება ძირფესვიანად შეიცვალა, ერევნიდან ახალი ნოტები გაისმის.

როგორც ჩანს, სომხეთში ოპოზიციაც უფრო თამამი გახდა. სომხეთის ევროპული პარტიის ლიდერმა ტიგრან ხზმალიანმა თავის თანამოაზრეებთან ერთად რუსეთის სამხედროების სომხეთიდან მთლიანად გაყვანა მოითხოვა.

ეს მოთხოვნა შეკრებილებმა გიუმრიში დისლოცირებულ რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზასთან გაახმიანეს.

აქცია 12 იანვარს გაიმართა. ამ დღეს შესრულდა გიუმრიში დატრიალებული მძიმე ტრაგედიის 4 წლისთავი. 2015 წლის იანვარში ამ ბაზის სამხედრო მოსამსახურე ვალერი პერმიაკოვმა ადგილობრივი ავეტისიანების ოჯახის 7 წევრი ამოხოცა.

მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. სომხეთის მოსახლეობა შეაძრწუნა ამავე ბაზის კიდევ ერთი სამხედროს მიერ ჩადენილმა დანაშაულმა. ცოტა ხნის წინ, 2018 წლის 3 დეკემბერს, საავადმყოფოში ცემის შედეგად გარდაიცვალა ჯულიეტა გუკასიანი. ისიც რუსი ჯარისკაცის თავგასულობას ემსხვერპლა.

ევროპული პარტია ასევე მოითხოვს, რომ ჯულიეტა გუკასიანის მკვლელი სომხეთის მართლმსაჯულებამ გაასამართლოს. ამჟამად ეჭვმიტანილი თავისი ბაზის ტერიტორიაზე ჰყავთ დაკავებული. სომხეთის სამართალდამცავების განმარტებით, ეს სომხეთსა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ხდება.

ანტირუსული აქციის პარალელურად, გიუმრიში ასევე გაიმართა კონტრაქცია. მისი მონაწილეები ადგილობრივი კომუნისტური პარტიის ლიდერები და მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ. მათი აზრით, რუსეთის ბაზა აუცილებელია თურქეთის შესაკავებლად.

სომეხ „ევროპელებს“ კიდევ ერთი მოთხოვნა აქვთ. ესაა 1921 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ხელმოწერილი მეგობრობისა და ძმობის შესახებ ხელშეკრულების გაუქმება.

ამ ხელშეკრულებით, რომელსაც ყარსის ხელშეკრულება მოჰყვა, დადგინდა საზღვრები სამხრეთ კავკასიაში. მოსკოვის დოკუმენტის ხელმოწერას არ დაასწრეს კავკასიის ქვეყნები.

მოსკოვის ხელშეკრულებით, თურქეთმა ივალდებულა, ბათუმის ოლქის აღმოსავლეთი საქართველოსთვის გადაეცა, ერევნის გუბერნიის ნაწილი – სომხეთისთვის, ამავე გუბერნიის ნახიჩევანის ოლქი კი – აზერბაიჯანისთვის. სხვა მიწების ნაწილი თურქეთს დარჩა.

– ამ ხელშეკრულებას საერთაშორისო სამართლის ძალა არ გააჩნია. ის მაშინ გააფორმა ორმა არაღიარებულმა სახელმწიფომ. მათ მოახდინეს ერთა ლიგის წევრი ქვეყნის ოკუპაცია, – აცხადებს ხზმალიანი.

მისი შეფასებით, სომხეთი რუსეთის კოლონიაა. ეს გამორიცხავს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, ასევე კეთილმეზობლურ ურთიერთობას რუს ხალხთან.

ევროპული პარტიის თქმით, რეგიონის პოლიტიკური არქიტექტურა აგებულია რუსეთსა და თურქეთს შორის მომხდარ შეთანხმებაზე.

1921 წლის ხელშეკრულებას ამ ეტაპზე, ალბათ, არავინ გააუქმებს, სომხეთში მიმდინარე პროცესები კი რეგიონში მოსალოდნელ სიახლეებზე მეტყველებს.

მთიან ყარაბაღში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. მიუხედავად ამისა, ექსპერტების სიტყვებით, ჩნდება ახალი ნიუანსები კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. მაგალითად, სომხეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე სასაზღვრო სფეროში. იდგებიან თუ არა მესაზღვრეები კონფლიქტის ზონაში, ჯერ უცნობია.

ანალიტიკოსების შეფასებით, აშშ-ის ყურადღება სამხრეთ კავკასიისადმი სულ უფრო იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტუაცია საქართველოშიც შეიცვლება.

რა ქონებას ფლობს ლევან კობიაშვილი და რა ინფორმაცია არ აქვს დეკლარაციაში მითითებული

პარლამენტის წევრსა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილს გასულ წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულ თანამდებობებზე მიღებული შემოსავალი მითითებული არ აქვს. ეს მონაცემი მას არც 2017 წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში ჰქონდა აღნიშნული. თუმცა, 2016 წლის დეკლარაციის თანახმად, კობიაშვილის შემოსავალმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე 63.334 ლარი შეადგინა. ცნობისთვის, კობიაშვილი ამ თანამდებობას 2015 წლის 3 ოქტომბრიდან იკავებს.

2018 წლის 31 დეკემბერს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ლევან კობიაშვილი ფლობს 425 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლის 50%-იან წილს დიუსელდორფში; 550 კვ. მეტრის სახლის 50%-იან წილს ბერლინში და 790 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთის 50%-ს დიუსელდორფში. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მდებარე ქონების თანამფლობელი კობიაშვილის დეკლარაციაში მითითებული არ არის, თუმცა, 2016 წელს შევსებულ

დეკლარაციაში უძრავი ქონების დანარჩენ 50%-იან წილს მისი მეუღლე ფლობდა.

მასვე ეკუთვნის 281 კვ. მეტრი ფართობის ბინა თბილისში; 450 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი და 2.100 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთი წყნეთში; 6.500 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთი ბაკურიანში. ასევე მის საკუთრებაშია 180– 110 და 150 კვ. მეტრი ფართობის 3 ბინა თბილისში. გარდა ამისა, კობიაშვილი ფლობს მსუბუქ ავტომობილებს Mercedes benz-სა და Audi-ს.

დეკლარაციის შევსების მომენტში, დეპუტატს საბანკო ანგარიშზე 4.057,7 ლარი და 12.500 ევროს ოდენობის საკრედიტო; ნაღდი ფულადი თანხის სახით კი 6.000 ლარი; 10.000 დოლარი და 35.000 ევრო ჰქონდა. ეს უკანასკნელი სესხის სახით აქვს მიღებული, ხოლო დანარჩენი თანხა გერმანიაში მუშაობიდან. ამასთან, როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, კობიაშვილი შპს „ჯ.ს.ს“-ს 10%-იანი წილის მფლობელიცაა.

რაც შეეხება მის სხვა შემოსავლებსა და გასავალს, დეკლარაციის მიხედვით, საცხოვრებელი ბინის ქირავნობიდან 1.400 დოლარისა და 19.600 დოლარის შემოსავალი აქვს მიღებული. მისმა გასავალმა კი შვილების სწავლის გადასახადის საფასურის სახით, 14.500 დოლარი და 9.250 გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

კობიაშვილს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დეპუტატის მეუღლეს დეკლარაციის შევსების მომენტში საბანკო ანგარიშზე – 4.981,23 ევრო და 9.025 ლარი; ნაღდი ფულადი თანხის სახით კი 15.000 დოლარი და 10.000 ევრო ჰქონდა.

რა ახალი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწევს ფინანსურ ორგანიზაციას სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემისას ეროვნული ბანკი მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში გარკვეული ცვლილებების შეტანას გეგმავს. აღნიშნულთან დაკავშირებით პროექტი სებ-მა გასული წლის მიწურულს გამოაქვეყნა.

ეროვნული ბანკის ცნობით, ცვლილებების მიზანი საფინანსო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვა და ბაზარზე არსებული საფინანსო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებათა პროექტი სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემისას ფინანსურ ორგანიზაციას ახალ მოთხოვნებსაც უწესებს.

სერგო რატიანი: „ხელისუფლებისთვის რუსეთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსოფლიოს პატრიარქი და უკრაინა“

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მედიის წინაშე პირველად წარდგა. ჟურნალისტებმა კითხვები მოსამართლეების არჩევის წესზე, მოსამართლეთა კანდიდატების სიასა და უკრაინისთვის ავტოკეფალიის მილოცვის საკითხზეც დაუსვეს.

პრეზიდენტმა პირველ კითხვას თავი აარიდა, მეორეზე კი პასუხისმგებლობა საპატრიარქოს დააკისრა.

თუ რამდენად კომპეტენტურია პრეზიდენტი აღნიშნულ საკითხებში, შეეძლო თუ არა მას საპატრიარქომდე უკრაინისთვის ავტოკეფალიის მილოცვა, გამოიწვევდა თუ არა ეს ოკუპანტ რუსეთში აგრესიას და რამდენად საჭიროა პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული ინიციატივა „ცილისწამების შესახებ კანონთან“ დაკავშირებით – ამ საკითხებზე გაზეთ „ახალ თაობასთან“ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი საუბრობს.

საკითხებზე საუბარი, თუმცა არ ისაუბრა. რა შეიძლება დავარქვათ მის ამ ქმედებას?

– ეს მისი მხრიდან არის უპასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობა.

– რატომ ცდილობს თავიდან აცილებას?

– იმიტომ, რომ ასრულებს ბიძინა ივანიშვილის ნებას და არ აქვს ცხადი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მძიმე პროცესები მიმდინარეობს სასამართლოსთან მიმართებით. მას მოუწევდა ეთქვა, რომ ბიძინა ივანიშვილს სურს, ერთპიროვნულად დაიქვემდებაროს სასამართლო. ამის არშეფასება იყო პრეზიდენტის მხრიდან პასუხისმგებლობისგან გაქცევის მცდელობა.

– უკრაინისთვის ავტოკეფალიის მილოცვაზე პრეზიდენტმა თქვა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა საპატრიარქოს პრეროგატივაა და ის ვერ აიღებს პასუხისმგებლობას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამძაფრებაზე. როგორ აფასებთ მის ამ გადაწყვეტილებას?

– უკრაინის ავტოკეფალიის გამოცხადება არ სცილდება შიდასაეკლესიო პრობლემას. ეს არის ჩვენი პარტნიორების ძალიან სერიოზული წარმატება და, როდესაც შენთვის მნიშვნელოვან პარტნიორს და ხალხს არ ულოცავ წარმატებას, ეს არის შემაშფოთებელი.

უკრაინის გარეშე რუსეთი აღარ არის ის იმპერია, რომელიც ევრაზიულ კონტინენტზე დომინირებს. მას ძალიან სერიოზული ბერკეტები სცილდება. საუკუნეების განმავლობაში რუსეთის ხელისუფლება ეკლესიას იყენებდა, როგორც ბერკეტს სხვადასხვა ქვეყნის და ამ შემთხვევაში უკრაინის წინააღმდეგ იმისთვის, რომ მისი ნაციონალური იდენტობა და სწრაფვა თავისუფლებისთვის ჩაეხშო. სწორედ ეს არის პოლიტიკის საკითხი და ნამდვილად სცილდება ერთი ქვეყნის და მით უმეტეს ეკლესიის შიდა საეკლესიო ურთიერთობების საკითხს. შესაბამისად, როდესაც საქართველოს ხელისუფლება არ ულოცავს უკრაინას, ეს არის დათმობის პოლიტიკა, ეს არის მძევლად ყოფნის პოლიტიკა რუსეთის მიმართ.

წლების განმავლობაში ჩვენს სახელმწიფოს არჩეული აქვს მძევლად ყოფნის პოლიტიკა და ჩვენ ვხედავთ შედეგებს, როდესაც არ ჩერდება მცოცავი ოკუპაცია, როცა იტაცებენ და კლავენ ადამიანებს და ამ პოლიტიკას მოაქვს სწორედ ეს შედეგი, როცა ხარ უპრინციპო მტერთან და ხარ უპრინციპო მეგობრებთან, როცა ვერ არჩევ მეგობარს და მტერს ერთმანეთისგან.

– შესაძლოა, უკრაინისთვის ავტოკეფალიის მილოცვას სავალალო შედეგები არ მოჰყოლოდა რუსეთის მხრიდან?

– რუსეთისგან სავალალო შედეგები უკვე მიღებული გვაქვს. ამაზე უფრო მძაფრი რეაქციები რუსეთის მხრიდან არ არსებობს. ეს უკვე მოხდა. რუსეთი არის ოკუპანტი, ის არის შეტევაზე. ამაზე უფრო მძაფრი და ახალი არაფერი არ შეიძლება მოხდეს.

დღეს საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მისთვის უფრო მნიშვნელოვანია რუსეთი, ვიდრე მსოფლიოს პატრიარქი და უკრაინა. საქართველოს ხელისუფლებისთვის მეგობარი ხალხის თანადგომაზე მეტად მნიშვნელოვანია რუსეთისა და მისი პოლიტიკის დაქვემდებარებაში ყოფნა.

უპრინციპობა არის ყველაზე დიდი მტერი და საკუთარი მოსახლეობის წინაშე ყველაზე დიდი დანაშაული. პრინციპების ღალატი აისახება ასევე საკუთარ ქვეყანასა და საკუთარ ხალხზე. ჩვენი საკითხი რუსეთთან მიმართებაში გაქრა მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგიდან და ზიანის გარდა არაფერი მოუტანია მას. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, იმავე რუსეთთან მიმართებით, ოკუპაციასთან მიმართებით, პრეზიდენტის განცხადებებმა ზიანი მოუტანა საქართველოს და ეს არის ნაწილი ამ ზიანისა.

– პრეზიდენტი ცილისწამების კანონის მიღების ინიციატივით გამოდის. რამდენად მნიშვნელოვანია ეს კანონმდებლობა ქვეყნისთვის?

– ქართველი საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი არ დაუშვებს, რომ შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება, რისი მცდელობაც არსებობს. ჩვენ ვნახეთ პრეზიდენტის განცხადება და ვნახეთ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება. მმართველი გუნდის ორი უმაღლესი თანამდებობის პირი საუბრობს ამაზე, შესაბამისად, პრობლემა არსებობს.

ლელა მდივანი

კახა კალაძე „თიბისი ბანკზე“ — კონკრეტულად ამ „ქეისს“ არ ვიცნობ

კონკრეტულად ამ „ქეისს“ არ ვიცნობ“, – ასე უპასუხა „ ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას „თიბის ბანკთან“ დაკავშირებით.

– არ ვიცი, საკითხს არ ვიცნობ, თუმცა, თუ არის რაიმე კანონდარღვევა, რაიმე გადაცდომა, რა თქმა უნდა, ამას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კონკრეტულად ამ „ქეისს“ არ ვიცნობ, – განაცხადა კახა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ „თი ბი სი ბანკის“ საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ბანკიდან გარკვეული დოკუმენტაცია ამოიღო.

„თიბისი ბანკის“ განმარტებით, პროკურატურის მიერ ამოღებული დოკუმენტები ეხება 2008 წლის რიგით საბანკო ოპერაციას, რომელიც არაერთხელ იქნა შემოწმებული როგორც მოქმედი, ისე წინა ხელისუფლების დროს.

ბიძინა გეგიძე: „პარლამენტის თავმჯდომარემ ვერ შეძლო ღია პროცესის შექმნა“

„ქართული ოცნება – ძლიერი საქართველოსთვის“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე, ბიძინა გეგიძე, საკუთარ ფეისბუქგვერდზე განცხადებას ავრცელებს:

– იმედგაცრუებული ვარ პარლამენტის თავმჯდომარის მოქმედებით და იმ შემოთავაზებული სცენარით, რომელიც მოსამართლეების სიას უკავშირდება. მან ვერ შეძლო პროგრესული და ღია პროცესის შექმნა, თუმცა, ეს მოსალოდნელი იყო.

მედიანიუსი

ალექსანდრე ძნელაძე: „საბანკო რეგულაციებთან დაკავშირებით თვის ბოლომდე რაიმე ცვლილებას არ ველოდებით“

2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საფინანსო ბაზრისთვის „პასუხისმგებლიანი დაკრედიტების“ მოთხოვნები ამოქმედდა. თავდაპირველად ბანკები რეგულაციების შერბილებას და გადავადებას ითხოვდნენ. როგორც ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი „კომერსანტთან“ საუბარი აცხადებდა, ბოლო მომენტამდე ეროვნულ ბანკსა და კერძო ბანკებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. კომერსანტი დაინტერესდა, უახლოეს პერიოდში ხომ არ იგეგმება უკვე ამოქმედებულს საბანკო რეგულაციებში ცვლილებების შეტანა.

ბანკების ასოციაციის პრეზიდენტ ალექსანდრე ძნელაძის თქმით, ამჟამად არ მიმდინარეობს მოლაპარაკებები რეგულაციების კორექტირებასთან დაკავშირებით და ბანკები რეგულაციების სულად იმპლემენტაციაზე მუშაობენ.

– პირველი იანვრიდან საბანკო რეგულაციები უკვე დამტკიცებული რედაქციის მიხედვით შევიდა ძალაში და ყველა ბანკი ცდილობს, რომ მოერგოს ამ რეგულაციებს. რაც შეეხება გადახედვას და ცვლილებების შეტანას, ეს უკვე მუშაობის პროცესის ნაწილი იქნება. ეს საკმაოდ სერიოზული რეგულაციებია, ყველა ქვეყანაში სადაც კი მსგავსი შეზღუდვები შევიდა ძალაში, შემდეგი 4-5 წლის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა ცვლილებების განხორციელება, რეგულაციის შედეგებიდან გამომდინარე. ჩვენს შემთხვევაში, თვის ბოლომდე რაიმე ცვლილებას არ ველოდებით, – განმარტა ალექსანდრე ძნელაძემ.

მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში რეგულაციების პირველი საგრძნობი შედეგი სამომხმარებლო სესხებზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად შეზღუდვა იქნება და შესაძლოა ბანკების საკრედიტო პორტფელმა შემცირებაც დაიწყოს.

– საბანკო რეგულაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნულ ბანკთან გარკვეული საკითხების შეთანხმებაა. აქედან გამომდინარე, ყველა ბანკი მაქსიმალურად ცდილობს, ის პროდუქტები, რომლებსაც მომხმარებლებს აწვდის, იქნება ეს ბიზნესსესხები თუ სხვა, მაქსიმალურად მოკლე პერიოდში შეათანხმოს ეროვნულ ბანკთან. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა რეგულაციების სრულად იმპლემენტაციაზე. იმდენად დიდი სამუშაოა ბანკების მხრიდან ჩასატარებელი, რომ რეგულაციის სრული ასახვისთვის ერთი თვე მაინც არის საჭირო, რომ ყველა ბანკმა რეგულაციები მიიღოს, როგორც ჩარჩო, როგორც საკრედიტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და არ უნდა მოხდეს ამ რეგულაციიდან არანაირი გადახვევა, – განაცხადა ალექსანდრე ძნელაძემ.

დააკავეს ცხენის ქურდობისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული დ.დ. ცხენების ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 8 იანვარს გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერაში მცხოვრებ მოქალაქეებს 4 ცხენი მოჰპარა.

პოლიციამ მოპარული ცხენები ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან იმავე დღეს ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

რუსთავში მანქანა ამობრუნდა

გუშინ, 13 იანვარს, რუსთავში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

მეგობრობის გამზირზე მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამობრუნდა. მანქანაში 5 ადამიანი იჯდა.

ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ. გამოძახებული იყო სასწრაფო დახმარების ჯგუფი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შსს-მ 1 პირი მანქანის ქურდობის დროს დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული ა.გ. ქურდობის მცდელობის ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 8 იანვარს ვარკეთილში, სხვისი ნივთის ფარულად დაუფლების მიზნით, ავტომობილის საქარე მინა დააზიანა და მანქანის სალონში შეღწევას ცდილობდა, როდესაც სამართალდამცველებმა დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობის მცდელობას გულისხმობს.

პოლიციის უფროსის მოადგილე კობა დვალიშვილმა პროკურორი ურუმაშვილი ცემა

რა მოხდა ვანის რესტორანში

ვანში 11 იანვარს სამართალდამცველებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

ინციდენტი ვანის რაიონში მდებარე რესტორან „მასპინძელოში“ მოხდა, სადაც ვანის პოლიციის უფროსის მოადგილე კობა დვალიშვილმა პროკურორი ურუმაშვილი და მასთან ერთად მყოფი პირი ცემა.

რესტორნის მფლობელი თენგიზ კაცაძე ყვება, რომ ფიზიკური ანგარიშსწორება რესტორნის ტერიტორიაზე არ მომხდარა და ჩხუბი სამართალდამცველებს შორის გარე პერიმეტრზე დაიწყო.

– რაიონის პოლიცია იყო და პროკურორი სტუმრები, რესტორანში არავითარი ინციდენტი არ ყოფილა, დატოვეს რესტორანი, დაიკეტა რესტორანი და მერე რა მოხდა, არ ვიცი, – განაცხადა თენგიზ კაცაძემ.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გიგა შუშანია მომხდარს ასე აფასებს:

– რესტორანში სუფრაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ფიზიკურად ვანის პოლიციის უფროსის მოადგილე და პროკურატურის წარმომადგენლები, სადაც მოხდა ფიზიკური ანგარიშსწორება ერთმანეთის მიმართა და იმ დროს, როდესაც ქვეყანაში კრიმინალი მძვინვარებს, რეგიონში უმძიმესი მდგომარეობაა ამ მიმართულებით და ძალოვანი უწყებები დაკავებულები უნდა იყვნენ კრიმინალთან ბრძოლით და ამ ფაქტების გახსნით, ერთმანეთთან ანგარიშსწორებით არიან ისინი დაკავებული და ეს ნათლად მიუთითებს, რა უმძიმეს მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სამართალდამცავი სისტემა ჩაფლული.

11 იანვარს რესტორან „მასპინძელოში“ ახალი წლისა და შობის დღესასწაულთან დაკავშირებით შს სამინისტროს წარმომადგენლებმა პროკურორები დაპატიჟეს.

ნიუპოსტმა გაარკვია, რა გახდა კობა დვალიშვილსა და პროკურორ ურუმაშვილს შორის კონფლიქტის მიზეზი – ხელჩართული ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც ურუმაშვილმა დვალიშვილს უთხრა: „კრიმინალი ხარ, შენი ადგილი პოლიციაში არ არის!“

წყაროს ცნობით, ურუმაშვილის გაღიზიანება დვალიშვილის კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებისა და ე.წ. მაყურებლებთან ურთიერთობამ გამოიწვია.

ნიუპოსტის ცნობით, კობა დვალიშვილს კრიმინალებთან კავშირის გამო მთელი სამსახური ემტერება, ამბობენ, საკმაოდ დიდი ფული აქვს მათგან აღებული.

– მოკლედ, დვალიშვილი რაიონში ცნობილია, როგორც კრიმინალებთან გარიგებაში მყოფი, – აცხადებს წყარო, რომელიც კონფლიქტის თვითმხილველია.

ნიუპოსტის ინფორმაციით, რამდენიმე ხნის წინ, ვანის პოლიციის უფროსის ადეიშვილის მამის იუბილეზე დვალიშვილს სუფრასთან სწორედ ე.წ. მაყურებლები ჰყავდა მიპატიჟებული.

ნიუპოსტი პროკურორ ვლადიმერ ურუმაშვილს დაუკავშირდა, თუმცა პროკურორმა დაპირისპირებაზე საუბარი არ ისურვა. ძალოვანმა უპასუხოდ დატოვა კობა დვალიშვილთან მომხდარი დაპირისპირების მოტივზე დასმული კითხვა.

– არაფერი მომხდარა... ახლა ისეთ ადგილზე ვარ. ვერაფერს გეტყვით, – აღნიშნა პროკურორმა ურუმაშვილმა.

სამართალდამცავებს შორის მომხდარ დაპირისპირებას შს სამინისტრო და პროკურატურა ერთდროულად სწავლობენ. ფაქტის შესწავლის შედეგად გენერალური ინსპექცია დაადგენს, ჰქონდა თუ არა დაპირისპირებისას რაიმე სახის გადაცდომას ადგილი და ამის შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

გახარიას უწყებამ ინციდენტზე გამოძიება ძალადობის ფაქტზე, სსკ-ს 126-ე მუხლით დაიწყო.

ინციდენტში მონაწილე სამართალდამცველებს შეუჩერდათ სამსახურეობრივი უფლებამოსილება.

ვანში მომხდარ დაპირისპირებაზე გენერალურმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა.

„საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ ვანში, 11 იანვარს მომხდარი ინციდენტის გამოძიება დაიწყო. ფაქტის შესწავლის შედეგად გენერალური ინსპექცია დაადგენს, ჰქონდა თუ არა დაპირისპირებისას რაიმე სახის გადაცდომას ადგილი და ამის შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას დამატებით მიეწოდება“, – ნათქვამია განცხადებაში.

ვინ არის ბიძინა ივანიშვილის უცნობი ძმისშვილი

„უკანონო ვარ, მაგრამ ხომ ვარ“

სასამართლომ აღიარა, რომ თეონა ხინჩაგაშვილი ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილია. თეონა ხინჩაგაშვილი საკუთარ გვარსა და შვილად აღიარებას წლების განმავლობაში ითხოვდა. მისივე თქმით, ჯერ კიდევ დედამისი ცდილობდა 30 წლის წინაც, რომ მამას იგი შვილად ეღიარებინა.

გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ მიიღო.

– 4 წელია უკვე, სიმართლეს ვეძებ და ჯამში კიდევ 30 წელიწადზე მეტი დედაჩემი და დღეს ოფიციალურად მომცეს ჩემი კანონიერი, რომელიც მეკუთვნის, ეგ გვარი. მეშინოდა, რომ ზეგავლენას მოახდენდნენ ბიძაჩემი და მამაჩემი.

მადლობა მოსამართლეს, რომ ზეგავლენა არ მოახდინა მამაჩემისა და ბიძაჩემის გავლენამ. რა ვქნა, უკანონო ვარ, მაგრამ ხომ ვარ. ამას უკვე არავინ და აღარაფერი არ შეცვლის, – განაცხადა თეონა ხინჩაგაშვილმა.

რუსთავში 22 წლის ქალი მე-3 სართულიდან გადავარდა

22 წლის გოგო საცხოვრებელი სახლის მესამე სართულიდან გადავარდა.

შემთხვევა რუსთავში VII მიკრორაიონში 11 იანვარს გვიან ღამით მოხდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი მესამე სართულის ფანჯრიდან იყურებოდა, როდესაც დაბლა გადავარდა და პირველ სართულზე არსებულ მიშენებაზე დაეცა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

დაშავებული მრავლობითი მოტეხილობებით „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს. სამედიცინო დაწესებულებაში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს რომ გოგონას შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია და მისი მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა ჯერ კიდევ რჩება ქირურგიულ განყოფილებაში.

მარნეულში დედამ შვილი დაჭრა

ნაირა ახუნდოვას საყვარელმა ინტიმური ფოტოები გაუვრცელა

მარნეულში, სოფელ ყიზილაჯლოში, დედამ საკუთარი 30 წლის ქალიშვილი ნაირა ახუნდოვა დაჭრა.

დაზარალებულს ჭრილობა 3 ადგილზე აქვს მიყენებული. 2 გულმკერდის, ხოლო 1 – კისრის არეში. დაჭრილის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, თუმცა ამჟამად ის დასტაბილურდა და, ექიმების განცხადებით, პაციენტი კონტაქტურია.

მეზობლების თქმით, დედაშვილს შორის კონფლიქტი ხშირი იყო. დედას არ მოსწონდა ქალიშვილის საქციელი და ყოველმხრივ ცდილობდა, ამის გამო მას ოჯახი არ დანგრეოდა.

ქალი ინტიმური შინაარსის ფოტოებს მეგობარ მამაკაცს სოციალური ქსელით უგზავნიდა, რომელმაც მოგვიანებით ეს ფოტოები გაავრცელა. შედეგად გოგოს ოჯახში მისი ნათესავები შეიკრიბნენ და ამ დროს დედა-შვილს შორის კამათი მოხდა.

ნაირა ახუნდოვას ქმარი ჰყავს, ხოლო მისი მამამთილი სოფლის მოღაა.

ბრალდებული უკვე დაკავებულია და გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახური ძალადობის ნიადაგზე განზრახ ჯანმრთელობის დაზიანებას გულისხმობს.

მას სამიდან ექვს წლამდე პატიმრობა ემუქრება.

9 წლის ლიზის შანტაჟისთვის 30 წლის მამაკაცი დააკავეს

მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ იძულებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის მუქარის გამო ერთი პირი დააკავეს.

30 წლის მამაკაცი 9 წლის ბავშვს პირადი და ოჯახის ინფორმაციის მიწოდებას აიძულებდა და შემდეგ ამ ინფორმაციის გასაჯაროებით ემუქრებოდა.

სამართალდამცველებს ბავშვზე ზეწოლის შესახებ 9 წლის გოგონას დედამ აცნობა. არასრულწლოვანის დედამ ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში ვრცელი განცხადება გამოაქვეყნა და მშობლებს მოუწოდა, არასრულწლოვნების მიმოწერა სოციალურ სივრცეში მკაცრად გააკონტროლონ.

ბავშვის დედის წერილიდან ირკვევა, რომ მამაკაცი არასრულწლოვნებთან კონტაქტში სწორედ სოციალური ქსელის მეშვეობით შედიოდა, შემდეგ კი მათ პირადი ინფორმაციის გამხელას აიძულებდა.

ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, მამაკაცი შანტაჟზე გადადიოდა. მისი მთავარი მოთხოვნა იყო, მოზარდს უფროსებთან არ მოეყოლა მიმოწერის შესახებ და მასთან ფარულად ესაუბრა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბავშვს მისი ფოტოების ატვირთვით ემუქრებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 30 წლის მამაკაცი გუშინ, 13 იანვარს, დააკავა.

დაკავებულს ბრალად არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი იძულება და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის ხელყოფა ედება.

„ადამიანის სულიერი ზრდის საზომი მისი სიმდაბლეა, ცხოვება კი ღმრთის ჯილდოა“

ვულოცავთ სრულიად მართლმადიდებელ ერს შობას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და საერო ახალ 2019 წელს!

ბასილი დიდი ბრძანებს: „თითოეულს მისთვის სასარგებლო ნიჭი ღმერთისაგან მისი რწმენისაებს ეძლევა“.

ეს ღამაზი, ბრძენი ფრაზა სწორედ თქვენ მიგესადაგებათ, მამა ბასილ, ღვაწლმოსილო, სარწმუნოების, ერის ტრადიციების უზადო დამცველო, უძილო ებგურო.

ვაჟკაცობა ის კი არ არის, მაშინ აღიმაღლო ხმა, როცა შენ გავნებენ, არამედ მაშინ, როცა სხვის მიმართ აშავებენ, მით უმეტეს, როცა საქმე ერის ინტერესებს ეხება. ფრიად დასანანია, როცა ბევრი სიმართლეს თვალებს ვერ უსწორებს ბოლომდე, რატომღაც ეშინიათ. თქვენში ეს სინდრომი არ არსებობს, რამეთუ მაშინ, როცა დუმდა ერი, ბერი, სრულიად საქართველო, როცა სხვადასხვა ჯურის სექტანტთა დაჯგუფებები კალიებივით შემოესივნენ საქართველოს და ათასნაირი დაპირებებით ითრევდნენ მატერიალურად შეჭირვებულთ, მაშინ თქვენ ერთადერთი იმედის მოკიაფე ვარსკვლავი იყავით, რომელიც ციალებდა ცის კაბადონზე, თქვენ ყოველივე გააკეთეთ სარწმუნოებისათვის, ერისათვის, საკუთარი სიცოცხლე ბევრჯერ მიიტანეთ სამსხვერპლოზე. სწორედ მაშინ ერთადერთი მღვდელი მრევლთან ერთად ებრძოდით სოროსის მიერ მართულ მსოფლიო ანტიქრისტიანული ძალების უბოროტეს მანქანას.

თქვენმა სულიერმა ბრძოლამ დიდი შედეგი გამოიღო. სწორედ თქვენ მიეცით მაგალითი, სტიმული, მიმართულება ერს, ეკლესიის მესვეურთ, როგორ უნდა გაფრთხილება წინაპართა სახელოვან მონაპოვარს. შეიძლება დღეს მავანნი არ საუბრობენ ამაზე, მაგრამ მემატიანე ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენს.

ყველაზე შთამბეჭდავი და აღსანიშნავია ის, რომ რასაც თქვენ ათეული წლების წინა ქადაგებდით და აფრთხილებდით მოსალოდნელი განსაცდელის შესახებ, განსაკუთრებით ეკლესიის მსახურთ, მათ ყურად არ იღეს. ყველა კი უკიდეგანო უფსკრულის წინაშე აღმოჩნდით.

ზოგჯერ ვფიქრობთ, ვეძებთ რაიმე გადაცდომას თქვენ მიერ აღსრულებულ ღვთისმსახურებაში, სჯულის კანონის დაცვაში, ვერაფერს ვპოულობთ, რამეთუ ყოველივე თქვენი საქმე ღვთის მადლით არის გაჯერებული.

„უფალთან სიახლოვე ღვთის ნების გულმოდგინე შესრულებაში ვლინდება“ (ბასილი დიდი).

თქვენ განვლეთ წმიდა მამათა ცხოვრებისეული ყველა საფეხური: ქრისტეს მცნებების თავგანწირული დაცვა, შრომისმოყვარეობა, თავდადება, დევნილობა, პატიმრობა, ყოველივე ურთულეს საქმეს ეჭიდებით მხოლოდ ღვთის იმედით. მოვიშველიებთ თქვენს სიტყვებს: „ღმრთისმშობელი არ მიმატოვებს“. მართლაც არ გტოვებთ მამა ბასილ „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“. მართლაც, თქვენი მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფია გლდანის „ა“ მიკრორაიონში ულამაზესი ტაძარი, მშვენიერი სამრეკლოთი, გამშვენებული ეზოთი, გალავნით, რომელსაც ყოველნი შემომსვლელნი აღფრთოვანებაში მოჰყავს.

„საქმეში გონიერი სიკეთეს ნახავს, უფალს მინდობილი ბედნიერია“ (იგავი სოლომონისი 16-20).

თქვენ თამამად შეგიძლიათ, გაიმეოროთ სულიწმიდის მადლით აღვსილი პატრიარქის ამბროსი ხელაიას სიტყვები: „გული ჩემი საქართველოს ეკუთვნის, სული ჩემი ღმერთს“... ამბროსი ხელაია ერთი იყო, თევდორე მღვდელიც ერთი, მამა ბასილ მკალავიშვილიც ერთია, რომელსაც არანაირი მწიკული არ მიუძღვის, უკან მოხედვის არ ეშინია.

უანგარო, მართალო, სარწმუნოებისა და ერისთვის დამაშვრალო მოძღვარო! ვალმოხდილი, პირნათელი დგახართ ღმრთისა და ერის წინაშე, ჭაღარაშერეული, თქვენი სიბრძნითა და გონიერებით, როგორც ბერმუხა, გვაძლიერებთ და მომავლის იმედს გვინერგავთ.

მამა ბასილ, გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს – შობას უფლისა იესო ქრისტესი, დამდეგ 2019 წელს, ხსენებას უდიდესი მამის ბასილი დიდის, თქვენი დაბადებიდან 72-ე წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას. ისევ მიგისადაგებთ დიდი ილიას სიტყვებს: „მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯულის – მამულის და ეროვნებისა და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ“.

იდღეგრძელეთ, მამაო!

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის მოძღვარი მამა ვახტანგ მარგიანი
მრავალრიცხოვანი მრევლი

გფბ ტრამპის კომპანიის რუსებთან კავშირს იძიებდა

აშშ-ის მედიაში კვლავ გამოჩნდა მასალები ტრამპის რუსებთან კავშირების შესახებ. ასე მაგალითად, ითქვა, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო (გფბ) თავის დროზე ტრამპის კომპანიის რუსებთან კავშირის საქმეს იკვლევდა.

გამოძიება შეწყდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას, შესაძლოა, არასასურველი პოლიტიკური რეზონანსი მოჰყოლოდა.

„ვაშინგტონ პოსტი“ გვამცნობს, რომ ტრამპის საარჩევნო შტაბის უფროსი მანაფორტი უშუალო კონტაქტში იმყოფებოდა რუსული სპეცსამსახურის წარმომადგენელ კილიმნიკთან. ამას გარდა, ტრამპმა გასცა განკარგულება, რათა მისი და პუტინის საუბრების ყველა ჩანაწერი მოესპოთ.

„ვაშინგტონ პოსტის“ პუბლიკაციებმა ტრამპი გააბრაზა. პრეზიდენტი მათ უშუალოდ გამოეხმაურა.

ტრამპმა თქვა, რომ გფბ მისი კომპანიის რუსებთან კავშირის საქმეებს მართლაც იკვლევდა.

– გფბ-ს წინა ხელმძღვანელობა ყოფილი დირექტორის, ნაძირალა ჯეიმს კომის მეთაურობით ჩემ წინააღმდეგ ინტრიგებს აგორებდა! გამოძიების დაწყებაც ამით აიხსნება, – თქვა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა კატეგორიულად უარყო ბრალდება იმის თაობაზე, რომ რუსებთან გარიგება ჰქონდა.

– ეს ბინძური ცილისწამებაა! ჩემი პოლიტიკა რუსეთის მიმართ ბევრად ხისტია, ვიდრე ობამასი ან ბუშის, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ტრამპმა არ დამალა, რომ რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება სურს:

– მუდამ ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობა ამერიკის ინტერესებშია! იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობები აღდგება, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ისრაელმა სირია დაბომბა

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სირიის დედაქალაქი დამასკო დაბომბეს. რუსულმა ჰაერსაწინააღმეგო თავდაცვის სისტემამ სირიელები ვერც ამჯერად დაიცვა.

ისრაელელების ერთ-ერთი ყუმბარა დამასკოს საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად ჩამოვარდა. არის მსხვერპლი.

ამასობაში სირიის საზღვართან თურქეთის არმიის კონცენტრაცია გრძელდება. თურქები ქურთულ ფორმირებებზე შეტევისათვის ემზადებიან.

– ჩვენი ქვეყნის სიახლოვეს ტერორისტული დერეფანი შეიქმნა! თურქეთი ამას არ დაუშვებს, – განაცხადა ერდოღანმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თურქეთს სრული უფლება გააჩნია, თავი დაიცვას. ამავე დროს, ის ქურთები, რომლებიც ისლამისტების წინააღმდეგ ამერიკელთა მხარდამხარ იბრძოდნენ, ტერორისტები არ არიან.

– ჩვენ მათ არ მივატოვებთ! – განაცხადა პომპეომ.

რუსმა დეპუტატმა აქსიონოვმა ქალი გალახა

პროპუტინური „ედინაია როსიას“ დეპუტატმა სერგეი აქსიონოვმა ქალი გალახა. დაზარალებული მისი ცოლის მეგობარი ოლგა კიტენკოა.

– აქსიონოვმა და მისმა ცოლმა იჩხუბეს. ამ დროს ქმარმა მას ხელი გაარტყა. ცოლმა მე შემომჩივლა. ბუნებრივია, სერგეის ამის გამო საყვედური ვუთხარი, მან კი გამარტყა, ძირს დამაგდო და მცემა, – ამბობს ოლგა კიტენკო.

ქალი აცხადებს, რომ ეს შუა ქუჩაში, დღისით-მზისით მოხდა.

– გარშემო უამრავი პოლიციელი ირეოდა, მაგრამ დეპუტატის შეჩერება ვერავინ გაბედა, – თქვა ოლგამ.

აქსიონოვი ამას უარყოფს და ამტკიცებს, რომ აგრესიულად თავად კიტენკო იქცეოდა.

– ქალი ზურგიდან მომეპარა, თავში რაღაც მძიმე ჩამარტყა, თანაც ისე, რომ მიწაზე დავვარდი, – ამბობს დეპუტატი.

მაკედონიის პარლამენტმა ქვეყნის სახელწოდების შეცვლას მხარი დაუჭირა

მაკედონიის პარლამენტმა ქვეყნის სახელწოდების შეცვლის თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილებას მხარი დაუჭირა. გადაწყვეტილებას მაკედონიის პარლამენტის 81-მა დეპუტატმა მისცა ხმა.

შეტანილი ცვლილებების თანახმად, ამიერიდან ქვეყნის სახელწოდება „რესპუბლიკა ჩრდილოეთი მაკედონია“ იქნება.

ქვეყნის კონსტიტუციის ტექსტში ასევე იყო შეტანილი დებულება „მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემის თაობაზე“.

შეგახსენებთ, რომ 17 ივნისს მაკედონიისა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად, მაკედონიის სახელი შეიცვლება „ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკით“. აღნიშნული მაკედონიას საშუალებას მისცემს, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანდეს.

აღნიშნულ შეთანხმებას ახლა კენჭი საბერძნეთის პარლამენტმა უნდა უყაროს.

პარიზში აფეთქების შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა, 10-ის მდგომარეობა კრიტიკულია

პარიზში მომხდარი აფეთქების შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ჟურნალისტებს საფრანგეთის შს მინისტრმა კრისტოფ კასტანერმა განუცხადა.

მისივე თქმით, 10 ადამიანის მდგომარეობა კრიტიკულია, ხოლო 22 ადამიანი მსუბუქად არის დაშავებული.

– ტრაგიკული შემთხვევის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა. დაღუპულთაგან ორი მეხანძრეა და ორი – სამოქალაქო პირი. ათი ადამიანის მდგომარეობა კრიტიკულია, – განაცხადა მინისტრმა.

12 იანვარს, დილით, პარიზის ცენტრში, ტრევიზის ქუჩაზე მდებარე საფუნთუშეში მძლავრი აფეთქება მოხდა.

ერთ-ერთი ვერსიით, ადგილი ჰქონდა გაზის გაჟონვას.

მომხდარის მიზეზების დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს.

ნიგერიაში ბაზარში სატვირთო შეეჯახა
დაიღუპა 20 ადამიანი

ნიგერიის ეკიტის შტატში ბაზარში სატვირთო ავტომანქანის შეჯახების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა.

ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

ინციდენტი ქალაქ ივოროკოში მოხდა. მისი მიზეზი, შესაძლოა, სატვირთოს მუხრუჭის მწყობრიდან გამოსვლა იყო. მანქანა, რომელიც ბრინჯით იყო დატვირთული, ხალხში შეეჯახა 2 ავტომანქანას დაეჯახა.

სამართალდამცველთა ცნობით, სატვირთო დიდი სისწრაფით მიდიოდა, როდესაც მართვის კონტროლი დაკარგა.

დაღუპულთა უმეტესობა ბაზარში სავაჭროდ მისული ადამიანი იყო.

უნგრეთში ჰიტლერის დამქაშებს პატივს მიაგებენ

უნგრეთის მთავრობამ მიიღო დადგენილება, რათა ოფიციალურად მიეგოთ პატივი მეორე მსოფლიო ომის დროს დონზე დაღუპულ უნგრელ მეომრებს.

საუბარია უნგრეთის მეორე არმიაზე, რომელიც ჰიტლერელებთან ერთად აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძოდა.

200.000-იანი უნგრული არმიიდან 125.000 ჯარისკაცი დაიღუპა. შინ მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა.

ამ კატასტროფამ თავის დროზე მთელი უნგრეთი ფეხზე დააყენა. პარლამენტის დეპუტატმა, მტკიცე ანტიფაშისტმა და ანტიკომუნისტმა ბაიჩი-ჟილინსკიმ მომხდარის გამო გამოძიება მოითხოვა.

– რისთვის დაიღუპნენ დონზე ჩვენი ჯარისკაცები? ისინი უნგრეთისათვის არ დაღუპულან! ისინი უცხო ქვეყნის, ნაცისტური გერმანის ინტერესებს შეეწირნენ! – ბაიჩი-ჟილინსკიმ ეს პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა.

1944 წლის 18 მარტს უნგრეთში გერმანული არმია შევიდა. იმავე წლის ოქტომბერში უნგრეთში ფაშისტური პუტჩი მოხდა. ხელისუფლებაში ფერენც სალაშის ნაცისტური პარტია მოვიდა. უნგრელმა ნაცისტებმა ბაიჩი-ჟილინსკი შეიპყრეს და ჩამოახრჩვეს.

დღეს კი უნგრეთის ხელისუფლება პრემიერ ორბანის მეთაურობით ცდილობს, დონზე დაღუპული უნგრელი ჯარისკაცები გმირებად მონათლოს:

– მეორე არმიის მეომრები ჩვენი სახელოვანი წინაპრები იყვნენ. მათ პატივი უნდა მივაგოთ, – ნათქვამია უნგრეთის მთავრობის მიერ მიღებულ დოკუმენტში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ხელბურთელთა ნაკრებს შემდეგ ეტაპს 1 ნაბიჯი აშორებს

ხელბურთის ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2022-ის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი მალტაში 2 გამარჯვებით მოილია.

ჯორჯე რაშიჩის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირი მასპინძელთა დამარცხებით დაიწყო – 48:21.

ნაკრებმა თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყო: თევზაძე, აბრამიშვილი, ორჯონიკიძე, ჩიქოვანი, ცხოვრებაძე, ჭანტურია, არსენაშვილი. ამ შვიდეულმა 15 წუთი ითამაშა და ეს მონაკვეთი 17:3 მოიგო. თითქოს უცნაურია, მაგრამ ამ შემტევი ექვსეულიდან გოლი მხოლოდ გუნდის ლიდერს, ჩიქოვანს არ ჰქონდა გატანილი. თუმცა, ირაკლის კარში არც დაურტყამს და ძირითადად პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. რამდენიმე პოზიციური შეტევის შემდეგ ჩვენი გუნდი ძირითადად სწრაფ შეტევებში აღწევდა მიზანს, რადგანაც მალტა შეტევაში ძალიან ბევრ ბურთს კარგავდა.

მე-15 წუთზე მოედანზე გამოვიდა დებიუტანტი ირაკლი გოგოლაძე, რომელმაც უმალ გახსნა საკუთარი გოლების ანგარიში ნაკრებში. შემდეგ, შესვენებამდე მოედანზე ამ მიმდევრობით გამოვიდნენ კბილაშვილი, მაისურაძე, იმნაძე, წითელიშვილი და დიხამინჯია. ტაიმი 29:9 მოვიგეთ.

მეორე ტაიმი სხვა შვიდეულმა დაიწყო: ტორონჯაძე, იმნაძე, წითელიშვილი, კბილაშვილი, დიხამინჯია, გოგოლაძე, მაისურაძე. თავიდან სხვაობა გაიზარდა. კბილაშვილის დარტყმის შემდეგ ანგარიში 33:10 გახდა, მაგრამ მალტა 5-1 დაცვაზე გადავიდა, ჩვენებს ერთი პირობა თამაში აერიათ და მოხდა თითქმის წარმოუდგენელი რამ – მასპინძლებმა ზედიზედ გაიტანეს 5 გოლი.

ჯორჯე რაშიჩმა წუთშესვენება აიღო. თამაშში ნელ-ნელა დაბრუნდნენ ორჯონიკიძე, ჭანტურია, აბრამიშვილი, ჩიქოვანი. რა თქმა უნდა, სხვაობამ ისევ იწყო ზრდა. კბილაშვილმა ოცბურთიანი სხვაობა მალე აღადგინა (37:17), სადებიუტო გოლები გაიტანა 17 წლის ჯემალ იმნაძემ, მოედანზე გამოვიდა ნაკრების უხუცესი სერგო დათუკაშვილიც, რომელიც ერთი-ორჯერ შეტევაშიც გაუძღვა გუნდს. მხოლოდ რატი მსხვილიძეს არ უთამაშია.

53-ე წუთისთვის მოედანზე დამწყები ექვსეული იყო. სულ ბოლოს დიხამინჯიამ მარჯვენა კუთხეში დაიკავა ადგილი და აქ ბევრად უფრო ეფექტური იყო და ზედიზედ გაიტანა 2 გოლი. საბოლოოდ, მეორე ტაიმიც უპრობლემოდ მოვიგეთ, ჯამში კი 48:21 ვიმარჯვეთ.

ცხოვრებაძემ 11 გოლი გაიტანა, ხოლო ჭანტურიამ და კბილაშვილმა თავი 7-7-ჯერ გამოიჩინეს.

პირველი ტურის მეორე მატჩში აზერბაიჯანი კარგა ხანს უძალიანდებოდა კვიპროსს, ერთხანს ლიდერობდა კიდეც, მაგრამ ტაიმი 10:13 წააგო და მეორეში გატყდა – 17:25.

აზერბაიჯანმა მედგარი წინააღმდეგობა ჩვენც გაგვიწია, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ათლეტური, ოღონც ცოტა მძიმე და ასაკოვანი გუნდია.

ჩვენების სასტარტო შემადგენლობაში ერთი ცვლილება იყო – თამაში დაიწყო რატი მსხვილიძემ, რომელმაც პირველი გოლიც გაიტანა, გიორგი ცხოვრებაძეს კი ადგილი მე-15 წუთისთვის დაუთმო. აზერბაიჯანი დაცვაში აქტიურ, 3-2-1 განლაგებას იყენებდა ხოლო მათ მეკარეს, ჰუსეინ გაფაროვს დროდადრო კარგი მოგერიებები ჰქონდა. 22-ე წუთზე, ჩიქოვანის გაძევების შემდეგ 10:12 ჩამოვრჩით, პირველი ტაიმი მთლიანად თანაბარი იყო და ბოლო წამებზე რევაზ ჭანტურიამ დაგვაწინაურა – 16:15.

ჭანტურია გუნდში საუკეთესო იყო. მან რამდენჯერმე ძალიან კარგად ითამაშა ინდივიდუალურად, მეორე ნახევარში კი შესანიშნავი ფინტი ჩაუტარა მეტოქეს, როდესაც შეტევაში ისე დააჯარიმა, რომ მსაჯს 2 წუთით გააძევებინა კიდეც.

ამის მერე მალე 19:16 დავწინაურდით, მაგრამ გაფაროვმა ზედიზედ მოიგერია რამდენიმე ბურთი და 39-ე წუთზე აზერბაიჯანმა ისევ გაათანაბრა (19-19), მაგრამ ჩანდა, რომ ძალები აღარ შერჩათ და დროის გაწელვა დაიწყეს.

საბოლოოდ, თამაში გარდატეხეს ირაკლი კბილაშვილმა და ლექსო წითელიშვილმა. კბილაშვილმა ჯერ რიცხვობრივ ნაკლებობაში გაიტანა, შემდეგ – მეტობაში, ამას შორეული დარტყმა დაურთო წითელიშვილმა და 49-ე წუთზე ანგარიში 27:21 გახდა, ხოლო მალე ჭანტურიამ შვიდბურთიანი უპირატესობაც დააფიქსირა – 30:23.

მატჩის ხასიათიდან გამომდინარე, რაშიჩმა მხოლოდ ბოლოში შეიყვანა მოედანზე ახალგაზრდები, რის გამოც თევზაძეს, ჭანტურიასა და აბრამიშვილს თითქმის შეუცვლელად მოუწიათ თამაში.

კვიპროსმა მეორე ტურში 38:20 მოუგო მალტას და ჩვენ დარად ქულათა მაქსიმუმი აქვს. შემდეგ ეტაპზე მხოლოდ ერთი გუნდი გადის, ამიტომ კუნძულელებთან მძიმე ბრძოლა გველოდება. ერთია, ბურთების შეფარება ჩვენ უკეთესი გვაქვს და ფრეც გვაწყობს.

ცემა-ტყეპა სპორტის სასახლეში

გასული წლის ბოლო ძიუდოისტებმა ჩხუბით დაასრულეს და ესტაფეტა მიმდინარე წლის დასაწყისში მოჭიდავეებს გადააბარეს. ძიუდოისტებმა დეკემბრის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატი მუშტი-კრივით დაასრულეს. იგივე განმეორდა ჭიდაობაშიც.

სპორტის სასახლეში, ძალზედ ორგანიზებულად მიმდინარე შეჯიბრებაზე, ემოციებმა ზომაზე მეტად იფეთქა და სისხლიც დაიღვარა. 87 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის ფინალში ერთმანეთის პირისპირ 2 ტიტულოვანი ფალავანი, რობერტ კობლიაშვილი და ზურაბ დათუნაშვილი წარდგნენ. პირველი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს პრიზიორია, ხოლო მეორე კონტინენტის ორგზის გამარჯვებული. სწორედ, მათი ფინალი, ხალიჩის მიღმა ხელჩართული და მასობრივი ჩხუბით დასრულდა.

ინციდენტი მას შემდეგ აგორდა, რაც შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე დათუნაშვილი ტურნირზე უცხოეთიდან მოწვეულ გვერდით მსაჯთან მივიდა და მისი გადაწყვეტილება გააპროტესტა. შემდეგ კი დათუნაშვილისა და კობლიაშვილის მხარდამჭერებს შორის ისეთი მუშტი-კრივი გაჩაღდა, რომ იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანდა. ჩხუბობდა ყველა – სპორტსმენები, ქომაგები, ნაკრებისა თუ ფედერაციის ხელმძღვანელობა.

შედეგად, ზურაბ დათუნაშვილი ტურნირიდან მოიხსნა და ვერცხლის მედალი გაუთამაშებელი დარჩა, კობლიაშვილი კი ქვეყნის ჩემპიონად გამოცხადდა.

იმედია, მოჭიდავეები ესტაფეტას სპორტის სხვა წარმომადგენლებს არ გადააბარებენ.

ლოკომოტივმა თავისი საქმე გააკეთა და იტალიელებზეა დამოკიდებული

თბილისის ლოკომოტივმა კონტინენტის ფარის ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში იტალიური ფიამე ორო 47:10 დაამარცხა და თავისი საქმე შეასრულა, მაგრამ ახლა მეტოქეებზეა დამოკიდებული.

საქართველოს ჩემპიონმა რომაელებს 6 ლელო გაუტანა, რომელთაგან 2 ბექა წიკლაურის ანგარიშზეა. ფულბეკმა გუნდს კიდევ 17 ქულა შესძინა, აქედან ლამაზი სანახავი იყო დაახლოებით 55 მეტრიდან გატანილი არეკნი.

რკინიგზელებისთვის ეს იყო ჯგუფური ეტაპის დასკვნითი მატჩი და ზედიზედ მესამე გამარჯვება კონტინენტის ფარზე, თუმცა გავლენ თუ არა ისინი ტურნირის ნახევარფინალში, კვლავ იტალიელებზეა დამოკიდებული. 19 იანვარს ჩვენგან ძლეული ფიამე ორო კალვიზანოს მასპინძლობს და თუ არ დამარცხდა, მაშინ ლოკომოტივი ჯგუფში პირველ ადგილს შეინარჩუნებს, რაც შემდეგ ეტაპზე გასვლას ნიშნავს.

„ავჭალაზე“ გამართულ მატჩში მასპინძლებმა სტუმრებს პრაქტიკულად ყველაფერში აჯობეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. დებიუტში თბილისელებმა ჯარიმები არ დაარტყეს და ლელოზე ითამაშეს, მაგრამ მეტოქემ თავი დაიცვა. მე-10 წუთზე წიკლაურმა აღარ გარისკა და კარის წინიდან გარანტირებული 3 ქულა აიღო, მალე კი 2 ლელო გავიდა.

იტალიელებმა ბურთი თამაშში ცუდად შეიყვანეს და ცენტრში დანიშნული შერკინებიდან ზვიად მაისურაძემ შეუტია, 30-მეტრიანი რეიდი მოაწყო და ხაზში გატანილი ბურთი წიკლაურმა ფეხით შეაცურა. მცველს ისღა დარჩენოდა საკუთარ ლელოში გადაედო. 5-მეტრიანი შერკინებიდან მეორე მიძალების შემდეგ, გაგა არაბულმა მცველს „გადაუარა“ და ბურთი ძელებშუა შეიტანა, ხოლო წიკლაურმა გარდასახა.

მე-18 წუთზე სტუმართა ხაზი ლევან გოგოლაშვილმა გაარღვია და დიდი მანძილი მოიგო, ფრთაზე გოშა შკინინი კი დაიჭირეს, მაგრამ 2 ფაზის შემდეგ შეტევა კვლავ მოკლე ფრთაზე შეტრიალდა და ამჯერად შკინინი მცველს გაექცა – 15:0.

შესვენებამდე თამაში გათანაბრდა, გარკვეული დროით უპირატესობას ფიამე ორო დაეუფლა და ტაიმის მიწურულს ერთი ლელოც გაქვითა.

შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა. წიკლაურს დებიუტში ჯარიმა გაუცუდდა, თუმცა ორიოდე წუთში 55 მეტრიდან არეკნი დაჰკრა და ბურთი ძელებშუა გააძვრინა, ხოლო 48-ე წუთზე ჯარიმით ანგარიში 21:5 გახადა.

ლოკომოტივი სრულად დაეუფლა ინიციატივას, მორკინალებმა მეტოქის მოთამაშეები ახლო დარტყმებით ჩაითრიეს, ლაშა გედეხაურმა ბურთი მოკლე ფრთაზე წიკლაურს გაატანა, რომელმაც სივრცე შენიშნა და გუნდის მესამე ლელო გაიტანა. ორიოდე წუთში გედეხაურმა ფეხით გადაკიდებული ბურთი საკუთარ ნახევარზე მოიპოვა, სივრცე შენიშნა და ხაზი გაჭრა, ბოლო მცველი აიყვანა და ლელოში ზურაბ ძნელაძე შეუშვა. წიკლაურმა მეორე გარდასახვა ზუსტად შეასრულა.

თბილისელებმა ბონუსი გაინაღდეს, თუმცა მიღწეულზე არ შეჩერდნენ და კიდევ 2 ლელო გაიტანეს.

63-ე წუთზე, 5-მეტრიანი დარეფნიდან მოლის დაყენებისა და გიორგი გეგიას მიძალების შემდეგ, ზვიად მაისურაძე მცველთან ერთი ერთზე დარჩა და ჯანის ხარჯზე იოლად დაჯაბნა. სამიოდე წუთში რკინიგზელებმა ცენტრში დანიშნული შერკინებიდან ხელდახელ შეუტიეს, შკინინი ფრთაზე გაიქცა, შიდა მხარეს წიკლაურს გრძელი პასი გაუკეთა და მანაც გუნდის მეექვსე და თავისი მეორე ლელო გაიტანა.

მატჩის მიწურულს ფიამე ორომ კიდევ ერთი ლელო გაიტანა, მაგრამ ამით საერთო სურათი ვერ შეცვალა და საქართველოს ჩემპიონმა რომაულ კლუბს 47:10 აჯობა.

მოდრიჩს იუვენტუსი ეპატიჟება

ლუკა მოდრიჩმა კარიერა, შესაძლოა, იტალიაში გააგრძელოს. იტალიურ და ესპანურ მედიაში ამაზე უკვე აქტიურად საუბრობენ. ფეხბურთელით კი ტურინის იუვენტუსი არის დაინტერესებული და ბებერი ქალბატონი მის გადაბირებას ზაფხულში შეეცდება.

მოდრიჩს რეალთან კონტრაქტი 2020 წელს ეწურება. ბლანკოსმა მას ხელშეკრულების გახანგრძლივება შესთავაზა, თუმცა ოქროს ბურთის მფლობელი უარზეა. აქვე გეტყვით, რომ ზაფხულიდან მოყოლებული მისი შეძენა ინტერესაც სურს. გეტყვით იმასაც, რომ იტალიურ გრანდს ესპანელებიდან ისკოს, კეილორ ნავასისა და მარსელოს გადაყვანაც სურს.

მოდრიჩი რეალში 2012 წლის ზაფხულში ტოტენჰემიდან გადავიდა. მას მერე ხორვატმა ბლანკოსთან ერთად ყველა ტიტული მოიგო, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა.

შეგახსენებთ, რომ იუვენტუსმა რეალიდან ახლო წარსულში 1 ფეხბურთელი უკვე გადაიბირა. 2018 წლის ივლისში კრიშტიანუ რონალდუმ სამეფო გუნდი დატოვა და ახლა ბებერი ქალბატონის ღირსებას იცავს.

შედეგები

12 იანვარი

ფეხბურთი

აზიის თასი

ვიეტნამი-ირანი	0:2
იემენი-ერაყი	0:3
ლივანი-ს.არაბეთი	0:2

ინგლისი. ჩემპიონიგა

ვესტ ჰემი-არსენალი	1:0
ბარნლი-ფულემი	2:1
ბრაიტონი-ლივერპული	0:1
კარდიფი-ჰადერსფილდი	0:0
კრ.პალასი-უოტფორდი	1:2
ლესტერი-საუთჰემპტონი	1:2
ჩელსი-ნიუკასლი	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	22	18	3	1	50-10	57
2.სიტი	21	16	2	3	56-17	50
3.ტოტენჰემი	21	16	0	5	46-21	48
4.ჩელსი	22	14	5	3	40-17	47
5.არსენალი	22	12	5	5	46-32	41
6.მანჩესტერი	21	11	5	5	43-32	38
7.უოტფორდი	22	9	5	8	32-32	32
8.ლესტერი	22	9	4	9	26-25	31
9.ვესტ ჰემი	22	9	4	9	30-32	31
10.ვულვზი	21	8	5	8	23-25	29
11.ევერტონი	21	7	6	8	31-31	27
12.ბორნმუთი	21	8	3	10	31-40	27
13.ბრაიტონი	22	7	5	10	24-30	26
14.კრ.პალასი	22	6	4	12	20-28	22
15.ბარნლი	22	6	3	13	23-43	21
16.საუთჰემპტონი	22	4	7	11	23-39	19
17.კარდიფი	22	5	4	13	19-41	19
18.ნიუკასლი	22	4	6	12	16-31	18
19.ფულემი	22	3	5	14	20-49	14
20.ჰადერსფილდი	22	2	5	15	13-37	11

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბირმინგემი-მიდლსბრო	1:2
ბრენტფორდი-სტოკი	3:1
ბრისტოლი-ბოლტონი	2:1
ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი	1:1
იფსვიჩი-როტერჰემი	1:0
პრესტონი-სუონსი	1:1
რედინგი-ნოტინგემი	2:0
უიგანი-ასტონ ვილა	3:0
ჰალი-უენსდი	3:0
შეფილდი-ქარ	1:0
მილიოლი-ბლექბერნი	0:2

ესპანეთი. პრიმეხა დივიზიონი

ლეგანესი-უესკა	1:0
ვალენსია-ვალიადოლიდი	1:1
ხირონა-ალავესი	1:1
ვილიარეალი-ხეტაფე	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	18	12	4	2	50-20	40
2.ატლეტიკო	18	9	8	1	26-13	35
3.სევილია	18	9	6	3	31-18	33
4.ალავესი	19	9	5	5	22-19	32
5.რეალი	18	9	3	6	26-23	30
6.ხეტაფე	19	7	7	5	21-16	28
7.ბეტისი	18	7	5	6	21-21	26
8.ხირონა	19	5	9	5	21-23	24
9.ესპანიოლი	18	7	3	8	19-24	24
10.ვალენსია	19	4	11	4	17-17	23
11.ლევანტე	18	6	5	7	30-34	23
12.სოსიედადი	18	6	4	8	20-20	22
13.ეიბარი	18	5	7	6	21-25	22
14.ვალიადოლიდი	19	5	7	7	17-21	22
15.ლეგანესი	19	5	7	7	17-21	22
16.სელტა	19	5	6	8	31-32	21
17.ბილბაო	18	3	10	5	18-25	19
18.რაიო	19	5	4	10	22-34	19
19.ვილიარეალი	19	3	8	8	20-25	17
20.უესკა	19	2	5	12	17-36	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალბასეტე-ხიხონი	1:1
ლას პალმასი-ოსასუნა	4:1
რეუსი-ნუმანსია	1:1
მალიორკა-დეპორტივო	1:0
ოვიედო-ტენერიფე	1:0

იტალია. თასი

ლაციო-ნოვარა	4:1
სამდორია-მილანი	0:2(დდ)
ბოლონია-იუვენტუსი	0:2

საფრანგეთი. 1 ლიგა

ამიენი-პსჟ	0:3
გენგამი-სტ.ეტიენი	0:1
ნიცა-ბორდო	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	18	16	2	0	53-10	50
2.ლილი	20	11	4	5	32-20	37
3.ლიონი	19	9	6	4	31-22	33
4.სტ.ეტიენი	19	9	6	4	29-22	33
5.მონპელიე	18	8	6	4	25-15	30
6.ნიცა	19	8	5	6	14-17	29
7.მარსელი	17	8	3	6	30-26	27
8.რეიმსი	20	6	9	5	16-19	27
9.სტრასბური	19	6	8	5	30-23	26
10.რენი	18	7	5	6	27-25	26
11.ნანტი	18	6	5	7	26-25	23
12.ნიმი	18	6	5	7	26-28	23
13.ბორდო	18	5	7	6	20-21	22
14.ტულუზა	18	5	6	7	17-27	21
15.ანჟე	18	4	8	6	20-22	20
16.კაენი	20	3	9	8	20-28	18
17.ამიენი	20	5	3	12	17-34	18
18.დიჟონი	18	4	4	10	16-31	16
19.მონაკო	18	3	4	11	16-29	13
20.გენგამი	19	2	5	12	14-35	11

საფრანგეთი. ლიგა 2

ბრესტი-ტრუა	1:1
გრენობლი-ლე ავრი	0:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სპორტინგი-პორტუ	0:0
ბოავიშტა-მარიტიმუ	0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლარისა-აპოლონი	3:0
ატრომიტოსი-პანეთოლიკოსი	2:2
ოფი-პანიონიოსი	1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკელს გაუფრთხილებლობა თავის დაკარგვად დაუჯდა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ბრუკსვილში შვეულმფრენის პროპელერმა 62 წლის მამაკაცი უთავოდ დატოვა.

ინციდენტი ტამპას ყურეში, ბრუკსვილის რეგიონული აეროპორტის მახლობლად მოხდა. დაღუპული მამაკაცი და მისი ახლობელი შვეულმფრენის ამუშავებას თვითმავალი ურიკის დახმარებით ცდილობდნენ. მოულოდნელად აპარატი შეხტა, შემდეგ კი ქვევით დაეშვა. შედეგად შვეულმფრენის პროპელერი მამაკაცს თავში მოხვდა. ის მაშინვე დაიღუპა.

ადგილობრივი შერიფის ოფისმა უბედური შემთხვევის გამოძიება დაიწყო.

– ნათელია, რომ ასეთი სიკვდილი მეტად უჩვეულოა... და ჩვენ გვსურს, ყველა კითხვაზე ვიცოდეთ პასუხი, – განაცხადა შერიფმა ელ ნინჰაუსმა.

ჩინელ ქალს მამაკაცების ლაპარაკი აღარ ესმის

ჩინელ ქალს იშვიათი დაავადების გამო მამაკაცების ნალაპარაკევი აღარ ესმის. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ჩინეთის პროვინცია ფუცზიანის ქალაქ სიამინის მცხოვრებ ქალს, გვარად ჩენს, იანვრის დასაწყისიდან ყურებში ზარის ხმა ესმოდა, ასევე გამუდმებით გული ერეოდა. გოგონას ეგონა, რომ ეს ყველაფერი მალევე

გაუვლიდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. უფრო მეტიც, მას უკვე აღარ ესმოდა, თუ რას ეუბნებოდა მისი მეგობარი მამაკაცი. გოგონამ საავადმყოფოს მიმართა, სადაც, თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ მხოლოდ ქალების ხმები ესმოდა.

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმმა სიაოცინმა განუცხადა, რომ მან, სავარაუდოდ, დაბალი სიხშირის ხმების გაგების უნარი დაკარგა. მან ივარაუდა, რომ დაავადების პროვოცირება, შესაძლოა, სტრესმა გამოიწვია. გოგონამ აღიარა, რომ ბოლო დროს გვიანობამდე მუშაობდა და გამძიმებას ვერ ასწრებდა. სიაოცინმა მას მკურნალობა დაუნიშნა და იმედი აქვს, რომ სრული სმენა მალე დაუბრუნდება.

პოკერის მოთამაშემ 20 დღე ტუალეტში გაატარა და ათასობით დოლარი მოიგო



პოკერის პროფესიონალმა მოთამაშე რიჩ ალატიმ ნაძლევი დადო, რომ სრულ იზოლაციასა და სიბნელეში 30 დღეს გაძლებდა.

აღნიშნული იდეა მას ნაცნობმა პროფესიონალმა მოთამაშემ რორი იანგმა მიაწოდა. მას და ალატის ერთი საათი დასჭირდათ შეთანხმების მისაღწევად. იანგი ალატის დაჰპირდა, რომ 100 ათას დოლარს მისცემდა, თუ ის ერთ თვეს გაძლებდა, ხოლო თუ ალატი ამას ვერ შეძლებდა და გადაწყვეტდა, ექსპერიმენტი ვადაზე ადრე შეეწყვიტა, იანგს ისიც იმავე თანხას გადაუხდიდა.

ალატი 30 დღით ჩაკეტეს საბაზანოში, სადაც ასევე იყო ტუალეტი. იანგმა იზრუნა იმაზე, რომ შიგნით სრული სიჩუმე და სიბნელე ყოფილიყო. ალატის უფლება ჰქონოდა, შიგნით შეეტანა ხალიჩა განკუთვნილი იოგაში სავარჯიშოდ, ესპანდერი, ბურთი მასაჟისთვის, ლავანდის ზეთი. საჭმელი სხვადასხვა დროს მიჰქონდათ, რათა მისთვის დროის გამოთვლაში ხელი შეეშალათ.

ოთახში დააყენეს კამერა, რომლის დახმარებითაც ალატის მამას შეეძლო, თვალი ედევნებინა შვილის მდგომარეობისთვის. მას უფლება ჰქონდა, შეეჩერებინა ექსპერიმენტი, თუ შვილის საქციელში რაიმე უცნაურობას შენიშნავდა, ასევე თავად ალატის ნებისმიერ მომენტში შეეძლო საკუთარი ინიციატივით თამაშის დატოვება.

იზოლაციის მეოთხე დღეს ალატის ჰალუცინაციები დაეწყო. ის ჰაერში მოფარფატე თეთრ ბუშტებს ხედავდა. დროდადრო მას ნეგატიური აზრები იპყრობდა, ყურადღების გასაფანტად და დაძაბულობის დასაძლევად იოგაში ვარჯიშს იწყებდა და ცდილობდა, მთელი ყურადღება საკუთარი პოზისკენ მიემართა.

თავდაპირველად იანგი დარწმუნებული იყო, რომ ალატი ნაძლევს წააგებდა. ათი დღის შემდეგ მას საკუთარ რწმენაში ეჭვი შეეპარა. მე-15 დღეს დომოფონი ჩართო და გარიგება შესთავაზა, თუ ის დამარცხებას აღიარებდა და ახლავე გამოვიდოდა, იანგისთვის მხოლოდ 25 ათასი დოლარი ექნებოდა გადასახდელი, ანუ – შეთანხმებული თანხის მეოთხედი. ალატიმ ეს წინადადება უარყო.

ორი დღის შემდეგ იანგმა ისევ მიმართა ალატის და შესთავაზა, რომ ის მას თავად გადაუხდიდა 25 ათასს, თუ ექსპერიმენტს შეწყვეტდა და გარეთ გამოვიდოდა. ალატიმ ამაზე ერთი საათი იფიქრა და ისევ უარით უპასუხა.

მომდევნო ჯერზე იანგმა უკვე თავად შესთავაზა ალატის, რომ მას საკუთარი პირობები შეეთავაზებინა. მოთამაშემ ექსპერიმენტის შეწყვეტისთვის 75 ათასი დოლარი მოითხოვა. იანგმა 40 ათასი შესთავაზა. საბოლოოდ 62,4 ათას დოლარზე შეთანხმდნენ. სამყაროს მოწყვეტილმა ალატიმ სრულ იზოლაციასა და სიბნელეში 20 დღე გაატარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კანადის ქალაქი სელაპებით აივსო

ყინვების გამო ორმოცამდე სელაპი ვერ ახერხებს კანადის ნიუფაუნდლენდის პროვინციის პატარა ქალაქის როდიქტონ-ბაიდარმის დატოვებას.

სელაპები წვანან ქუჩებში, საცხოვრებელ შენობებთან მისასვლელ გზებზე, ეზოებსა და ავტოსადგომებზე, სახლების კარებთან, წვანან ჯგუფებად, – დაიჩივლა ქალაქის მერმა შილა ფიცჯერალდმა. ცხოველების გამო მანქანები ჩერდებიან და ადამიანები სახლებში ვერ შედიან.

რამდენიმე დღის წინ მოულოდნელი აცივების გამო სანაპირო წყლები ყინულით დაიფარა. წყლამდე მისაღწევად სელაპებს ექვსიდან რვა კილომეტრამდე მანძილის გადალახვა სჭირდებათ, თუმცა თავგზააბნეულმა ცხოველებმა სულ სხვა მიმართულება აირჩიეს. შედეგად კი მათ თავი ოკეანის ნაცვლად ქალაქში ამოყვეს.

ადგილობრივ მცხოვრებლებს აშფოთებთ ის, რომ, შესაძლოა, სელაპები შიმშილით დაიხოცნენ.

– ისინი არაფერს ჭამენ, მათი ყურება საცოდაობაა, – განაცხადა ფიცჯერალდმა. ორი სელაპი უკვე მოყვა მანქანის ქვეშ და დაიღუპა. ქალაქის მცხოვრებლები ცხოველების დახმარებას ვერ ახერხებენ, ვინაიდან კანადის კანონმდებლობა ზღვის ძუძუმწოვრების ცხოვრებაში ჩარევას კრძალავს.

სპორტი

გვილია პოლონეთში ჩავიდა, დვალი პოლონეთიდან მიდის

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ვაკო გვილია ლუცერნიდან იჯარით პოლონურ გურნიკში გადავიდა. ეს იმიტომაც არის კარგი, რომ ეროვნული გუნდის ფეხბურთელს ბოლო პერიოდში სათამაშო პრაქტიკა აკლდა. მისი იჯარით აყვანა პოლონელებს ტყუილად არ უნდა სურდეთ და დრო გაცილებით გაეზრდება.

გვილიამ უკვე გააკეთა პირველი კომენტარი:

– ძალიან მიხარია, რომ თქვენთან ვარ. ერთი სული მაქვს ბიჭებს როდის გავიცნობ. გუნდისთვის თავს არ დავზოგავ. 100%-ით დავიხარჯები. ეს დიდი გუნდია. მე ვნახე გურნიკის თამაშები. ზაბეჟეს სტადიონზე თამაში მინდა. კლუბის ისტორიაც ვიცი. პოლონეთის 14-გზის ჩემპიონია, რაც პოლონეთის რეკორდია.

გვილია კონტრაქტის გაფორმების შემდეგ გუნდთან ერთად შეკრებაზე კვიპროსში გაემგზავრა და ივარჯიშა კიდეც.

სამაგიეროდ, პოლონეთიდან შესაძლოა წავიდეს საქართველოს ნაკრების მცველის ლაშა დვალი, რომლის გადაბირებით უნგრული ფერენცვაროშია დაინტერესებული.

ამის შესახებ ინფორმაციას მადიარული პრესა ავრცელებს.

ფერენცვაროში 18 ტურის შემდეგ უნგრეთის ჩემპიონატის 39 ქულით ლიდერობს და უახლოეს მდევარ მოლ ვიდს 5 ქულით უსწრებს.

დვალმა 2018-19 წლების სეზონში პოგონის მაისურით 14 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

საქართველოს ნაკრების 25 წლის ნახევარმცველი ვახტანგ ჭანტურიშვილი კი კარიერას ჩეხეთის ჩემპიონატში გააგრძელებს. ქართველ ნახევარმცველსა და ზლინს შორის 2,5-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა. ჩვენებური 77-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

ჩეხეთის 16-გუნდიან ჩემპიონატში ზლინი'30 ქულით მე-6 ადგილზეა, საუკეთესო სამეულს მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება. ზლინის მთავარი მწვრთნელი მიხალ ბილეკია, რომელიც 2014 წელს თბილისის დინამოს წვრთნიდა, წარუმატებელი მუშაობის გამო ქართული კლუბი მან რამდენიმე კვირაში დატოვა.

ჭანტურიშვილი ჩეხურ კლუბში გადასვლამდე სლოვაკურ ტრნავაში გამოდიოდა, სადაც უკრაინული ოლეკსანდრიიდან მოხვდა. გახდა სლოვაკეთის ჩემპიონი და ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 6 მატჩი ითამაშა, გაიტანა 1 გოლი.

ჯანო ანანიძისა და თორნიკე ოქრიაშვილის შემდეგ რუსულ კლუბს დატოვებს ეკატერინბურგის ურალის ქართველი ნახევარმცველი გიორგი ჭანტურიაც. თუ ანანიძე კარიერას კრილია სოვეტოვში გააგრძელებს (იჯარის წესით), ოქრიაშვილი და ჭანტურია ამ ეტაპზე უგუნდოდ არიან.

ჭანტურია ურალთან ერთად კვიპროსში შეკრებაზე არ გაემგზავრა. მხარეები ხელშეკრულებას ორმხრივად მალე გაწყვეტენ.

გიორგი მიმდინარე სეზონში მოედანზე მხოლოდ ერთხელ, თასის მატჩში შეცვლაზე გამოჩნდა.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ასტროპროგნოზი

14 იანვრისათვის

ვერძი – თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ. **კურო** – თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **ტყუპები** – საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **სასწორი** – ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მაქსიმალური თავშეკავება და ტაქტი მოგეთხოვებათ. **ღრიანკალი** – თამამად გარისკეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. საკმაოდ სარფიან შემოთავაზებას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – მარსის მფარველობის მეოხებით თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჯიუტებთ. აქტიურობას ერიდეთ. **მერწყული** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ლოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი



1. ქიმიური ელემენტი; 2. წნეხი; 3. ... ლესკო; 4. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 5. ქართული გაზეთი; 6. ბ.შოუს პიესა; 7. ჰომეროსის პოემა; 8. ქალაქი ბელგიაში; 9. „ფორსაიტების ...“; 10. მოკლე სადღეგრძელო; 11. ცთომილი; 12. ... კუროსავა; 13. ხეთების ქალღმერთი; 14. დიდი საოკეანო გემი; 15. ასო „რ“-ს სახელწოდება; 16. სუბტროპიკული მცენარე; 17. ქართველი ფეხბურთელი; 18. ... სოიერი; 19. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 20. სპარსულ-ტაჯიკური ოთხსტრიქონიანი ლექსი; 21. ძღვენი, საჩუქარი; 22. ლათინოამერიკული ცეკვა სიმღერით; 23. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 24. ტყის მსხალი; 25. სახის მიმიკის მოშლა; 26. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 27. ძილ-ღვიძილი; 28. ინგლისელთა თავადაზნაურული ტიტული; 29. მწვალებლობა; 30. საზოგადოების რჩეული ნაწილი; 31. მატარებლის სამოძრაო გზა; 32. ცისარტყელის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 33. შესახედაობა; 34. მოკლე ალეგორიული მოთხრობა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხერგიანი; 2. სუეცი; 3. ყაპუზუნა; 4. დიდუბე; 7. გნოლი; 9. გრევე; 12. კრიტერიუმი; 14. დუქანი; 15. კაშხალი; 17. ლანცეტი; 20. კრიჟი.

თარაზულად: 5. ფელამუში; 6. სუარესი; 8. ბოცმანი; 10. კელასური; 11. ონაგრი; 13. „ჩხავერი“; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ფშავი; 21. ირონია; 22. პლანტაჟი; 23. გაუტამა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვიქტორია; 2. გირჩი; 3. პრიშტინა; 4. შეკელი; 9. ფლორა; 12. ალმადოვარი; 14. ხუანხე; 15. ქვაწვია; 17. კიკერსი; 20. თეთრა.

თარაზულად: 5. ყინწვისი; 6. კირთაძე; 8. მიჩმანი; 10. აფროდიტა; 11. ტიროლი; 13. სტაპელი; 16. ხაჭაპური; 18. ჰინდი; 19. კანტი; 21. ფეიხოა; 22. მინისტრი; 23. გლისერი.

თეატრმცოდნე თამარ ბოკუჩავა გარდაიცვალა

ცნობილი ქართველი თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი, თამარ ბოკუჩავა გარდაიცვალა. მას მძიმე დიაგნოზი, ფილტვის ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

სამწუხარო ინფორმაცია თანამედროვე ქართული თეატრის ცენტრმა გაავრცელა:

– ქართულ თეატრმცოდნეობას დააკლდა ღირსეული თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მსოფლიო თეატრის მიმართულების ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის შესარჩევი კომისიის წევრის, კულტურის სამინისტროსთან არსებული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს წევრი, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ყველა პროექტის მონაწილე, კონსულტანტი და რედაქტორი, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე თამარ ბოკუჩავა.

თანავუგრძნობთ ქართულ თეატრს, ქართული ხელოვნებას და ოჯახს, კოლეგებსა და მის მეგობრებს.

ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:

– მუდამ პოზიტიური, საუკეთესო და ერთგული მეგობარი, უკომპრომისო კოლეგა, ღირსეული, ჩვენ შორის უფრო განათლებული, სუფთა ადამიანი, ჩემი დისერტაციის ოპონენტი და გულითადი მეგობარი... თეატრის მეცნიერებას კი აღარ ჰყავს თამარ ბოკუჩავა, შესანიშნავი პედაგოგი და დიდი მეცნიერი. დაკრძალვა ხუთშაბათს, კოტეტიშვილის შესახვევი 8.

მიშა მდინარაძე, კომპოზიტორი:

– არის მოვლენები, რომლებიც პირდაპირ გართმევს ბავშვობას, გიბიძგებს გახდე დიდი ერთხელ და სამუდამოდ. თამრიკოს წასვლა სწორედ ამ გზის გაგრძელებაა, ჩემი ბავშვობის და შემდეგ მოზარდობის განუყრელი ნაწილი. მეხსიერების დიდი თავი დარჩა მონუმენტად, რომელიც აღარ შეიცვლება, აღარ განიცდის მეტამორფოზას.

ქართული თეატრის დღე თელავში აღინიშნება

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. წელს ეს დღე საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ თელავში აღინიშნება.

14 იანვარს თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი უმასპინძლებს ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს და ორგანიზებას გაუწევს რამდენიმე ღონისძიებას:

თელავის თეატრის ფოიეში გაიმართება თეატრმცოდნის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ ლაშა ჩხარტიშვილის წიგნის „258 წლის თელავის თეატრი“ პრეზენტაცია. ეს არის პირველი ვრცელი მონოგრაფია თელავის თეატრზე, სადაც პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ გაანალიზებულია თელავის თეატრის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მრავალფეროვანი თანამედროვეობა. წიგნი უამრავ ახალ, ჯერ გამოუქვეყნებელ საარქივო მასალას ეფუძნება, რომელიც პირველად ქვეყნდება. გამოცემას თან ერთვის ვრცელი ანოტაციები ინგლისურ და რუსულ ენებზე. წიგნის გამოცემის იდეა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს პაატა გულიაშვილს ეკუთვნის, ხოლო გამოცემა თელავის თეატრისა და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

წიგნის პრეზენტაციის შემდეგ თელავის თეატრის დიდ სცენაზე გაიმართება გამოჩენილი ქართველი მსახიობის, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის არტისტის ვანო იანტბელიძის 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საზეიმო საღამოს დასრულების შემდეგ კი თელავის თეატრის წინ გაიხსნება მსახიობ ვანო იანტბელიძის სახელობითი ვარსკვლავი. თელავის თეატრში ეს მესამე სახელობითი ვარსკვლავია მსახიობების ვენერა ფეიქრიშვილისა და თემურ ხუნაშვილის შემდეგ.

გორის თეატრში სპექტაკლები მოიხსნა

გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში სპექტაკლები მოიხსნა. ამის მიზეზი განათებისა და ელექტროსისტემის გაუმართაობა გახდა.

ინფორმაცია თეატრის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– სპექტაკლი მოიხსნა ისევ და ისევ განათების და ელექტრო სისტემის ტექნიკური გაუმართაობის მიზეზით.

ვერ ვგეგმავთ ასევე უახლოესი პერიოდის აფიშას.

ბოდიშს გიხდით შექმნილი მდგომარეობის გამო, თუ თქვენს გეგმებში ცვლილება შეიტანეთ.

მაია დათუნაშვილი ცილისწამებისთვის დასჯის მომხრეა

მუსიკისმცოდნე და ტელეწამყვანი მაია დათუნაშვილი ცილისწამებისთვის დასჯის მომხრეა. ამ ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გამოვიდა:

– ოჰოჰო, როგორ აკაკანდნენ სოროსის გოგო-ბიჭები, არ მოსწონთ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის გარეშე დასარჩენი ჟურნალისტიკა.

დიახაც, სასწრაფოდ უნდა მიიღოთ ეს კანონი. ბრავო, ქალბატონო სალომე! ჟურნალისტიკა უზნეობის ტირაჟირება არ არის, სხვა მისიაა. ამიტომ ზოგიერთებს ვურჩევ, ახლავე იფიქროს თავიანთი საჭორაო ტოკშოუს ფორმატების გადაკეთებაზე, თორემ უმუშევრები დარჩებიან.

ქართველი მსახიობი „გრეის ანატომიაში“ ითამაშებს

ამერიკაში მცხოვრები ქართველი მსახიობი ირაკლი გრძელიშვილი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სერიალ „გრეის ანატომიაში“ მიიღებს მონაწილეობას.

ის სერიალის მე-15 სეზონში გამოჩნდება. ინფორმაცია და ფოტოები მსახიობმა ამის შესახებ თავად გაავრცელა.

ტელეკომპანია ეიბისის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული სერიალი მთელ მსოფლიოში მილიონობით გულშემატკივარს აერთიანებს. „გრეის ანატომია“ ტელეკომპანიის ისტორიაში 14-წლიანი ისტორიის მქონეა და ყველაზე ყურებადი სერიალია.

ნიკა გვარამია „მხოლოდ ქართულისთვის“ ამღერდა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულისთვის“ ამღერდა.

ნიკამ „მხოლოდ ქართულის“ ჟიურისთვის კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის სიმღერა „ისევ წვიმს“ შეასრულა.

პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერა „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა „მხოლოდ ქართულის“ ჟიურის წევრებისთვის იმღერა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ნიკა გვარამიას შესრულებული სიმღერა ინტერნეტში გავრცელდა, რასაც ათასობით მოწონება, დადებითი კომენტარი და გაზიარება მოჰყვა.

თელავში ნადიკვრის პარკი დააზიანეს



თელავში კულტურისა და დასვენების პარკი ნადიკვარი დაზიანეს. დაუდგენელი პირების მიერ დამტვრეულია ტერასები, ჩამსხვრეული და დაბზარულია შუშის მოაჯირები, ასევე განადგურებულია ამფითეატრის იატაკი და ეზოში არსებული სკამები.

თელავის მცხოვრებლები დასასვენებელ პარკში სათვალთვალო კამერების დამონტაჟებას ითხოვენ, რათა მსგავსი შემთხვევები მომავალში აღარ განმეორდეს.

ფაქტის შესახებ საქმის კურსშია თელავის მერია. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, პარკი ვანდალებმა სხვადასხვა დროს დააზიანეს. თელავის მერიის ინფორმაციით, ნადიკვარზე ინფრასტრუქტურა მიმდინარე წელს აღდგება.

– სამწუხაროდ, ასეთი ვანდალური შემთხვევები გვაქვს, რომლის დროსაც მოსახლეობა, სამწუხაროდ, აზიანებს არა მხოლოდ ნადიკვარზე, ქალაქისა და მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილს... სეზონისთვის ნადიკვარი უკვე სრულად შეხვდება გამართული, – განუცხადა ჟურნალისტებს თელავის მუნიციპალიტეტის მერმა შოთა ნარეკლიშვილმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ყველაზე მდიდარი ადამიანის განქორწინების მიზეზი ცნობილი გახდა

ამაზონის დამფუძნებელ ჯეფ ბეზოსის განქორწინების მიზეზი ყოფილ ტელეწამყვან ლორენ სანჩესთან რომანტიკული ურთიერთობა აღმოჩნდა.

მილიარდერი საყვარელთან ერთად ჯერ „ოქროს გლობუსის“ პრემიის გადაცემის ცერემონიაზე შენიშნეს, შემდეგ კი – ამაზონის წვეულებაზე. იმისთვის, რომ ჭორებისა და თვითმხილველების მიერ გადაღებული ფოტოსურათების გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მილიარდერი მეუღლეს 2018 წლის შემოდგომაზე 25-წლიანი ქორწინების შემდეგ დაშორდა. უკვე ოქტომბერში ის სანჩესთან ერთად ნახეს, რომელიც იმ დროისთვის ასევე დაშორებული იყო მეუღლესთან, ჰოლივუდის ერთ-ერთი უმსხვილესი სააგენტოს ხელმძღვანელთან.

მოქვეყნებისთვის დაესწრო, ბეზოსი იძულებული გახდა, სასწრაფოდ გაეკეთებინა განცხადება მომავალი განქორწინების თაობაზე.

ბეზოსისა და სანჩესის ოჯახები სიეტლში ცხოვრობენ და დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს. ყოფილი ტელეწამყვანი ბეზოსის აეროკოსმოსურ კომპანიასთან თანამშრომლობდა. ის პილოტირებდა შვეულმფრენს, რომელიც საჰაერო გადაღებებს აწარმოებდა.

ჯალეიდოსკოპი

130 წლის ნიანგის დასაფლავებას 500 ადამიანი დაესწრო

ინდოეთში 130 წლის ნიანგის დასაფლავებაზე500 ადამიანი მივიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

რეპტილია, სახელად განგარამი, 8 იანვარს მოკვდა. ჩხატისგარხის შტატის სოფელ ბავამოხატრას მცხოვრებლებმა მისი უსიცოცხლო სხეული სოფლის მახლობლად მდებარე გუბურაში აღმოაჩინეს. ის სატყეო მეურნეობის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს და დაასკვნეს, რომ ცხოველის სიკვდილის მიზეზი სიბერე გახდა.

დამწუხრებულმა ინდოელებმა სამმეტრიან ნიანგს მდიდრული გასვენება მოუწყვეს. საფლავთან განგარამის ლეში ყვავილებითა და თაიგულებით მორთული ტრაქტორით მიიტანეს. დასაფლავებას ასევე მეზობელი სოფლების მცხოვრებლებიც ესწრებოდნენ.

სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის მტკიცებით, ნიანგი ძალიან მეგობრული იყო და არასდროს არავისთვის უკბენია.

– ბავშვებს შეეძლოთ, მის გვერდით ეცურათ. ის არასდროს არავის დასხმია თავს და ზიანი არ მიუყენებია. ის ნიანგი კი არ იყო, არამედ მეგობარი და ღვთიური ქმნილება. ჩვენ მას ვეთაყვანებოდით, – განაცხადა ინდოელმა.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნელი ედიშერაშვილი, შვილი ირაკლი ბერიაშვილი, რძალი თეა ლოლაძე, შვილიშვილები ნუკა და ზუკა ბერიაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ბერიაშვილი

პანაშვიდი: 13, 14 იანვარს;
მისამართი: ნინოშვილის 56;
გამოსვენება: 15 იანვარს, 14 საათზე, მცხეთის სასაფლაოს ეკლესიიდან.

ვაჟა შენგელია და ხათუნა ბერიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი-ქირურგი, პროფესორი, რუსეთის დიდი აკადემიის აკადემიკოსი

ზურაბ ბერიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

იტალიელი მეგობრებს ბარში შვეულმფრენით ესტუმრა

იტალიის პიემონტის ოლქის ქალაქ მარგონეში ბარში ერთ-ერთი სტუმარი შვეულმფრენით მივიდა.

ის ქალაქის მოედანზე დაეშვა, ეწვია დაწესებულებას, შემდეგ ბოდიში მოიხადა შეწუხებისთვის და გაფრინდა. აღნიშნული შემთხვევა გასული წლის 28 დეკემბერს მოხდა. მოგვიანებით მამაკაცი პასუხისგებაში მისცეს დასახლებული პუნქტის თავზე უნებართვოდ ფრენისა და ავიაუსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის.

როგორც გაირკვა, შვეულმფრენი საფრენოსნო სკოლას ეკუთვნოდა, სადაც პილოტი ინსტრუქტორად მუშაობს. მამაკაცმა განმარტა, რომ მარგონეშმა მეგობრებთან ფინჯანი ყავის დასალევად შეირბინა. მან ასევე დააზუსტა, რომ ფრენას ადგილობრივი დაბლობების ფოტოგრაფირებისთვის ახორციელებდა. მისი თქმით, ფრენის ნებართვაზე განცხადება, რომლის გაგზავნასაც ის ელექტრონული ფოსტით ცდილობდა, რატომღაც მის საფოსტო ყუთში დარჩა.

ზვიგენს სტუდენტი შესაჭმელად არ მოეწონა და თავი დაანება



დიდი თეთრი ზვიგენი თავს დაესხა 19 წლის სერფერს, რომელიც დაფით ამერიკის კალიფორნიის შტატის სანანპიროსთან წყალზე სრიალებდა.

კალიფორნიის შტატის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტ ნიკი ვაპნერს მტაცებელი თევზი ზღვის სიღრმიდან მიუახლოვდა.

– ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, – ამბობს სტუდენტი, რომლის შეფასებით, მტაცებელი თევზი დაახლოებით 4,5 მეტრი სიგრძის იქნებოდა, – მივიხედე და დავინახე, რომ ჩემი ფეხი ზვიგენს პირში ედო.

შოკის გამო მას ტკივილი არ უგრძნია, თავისუფალი ფეხი მტაცებელს თავში ჩასცხო და მანაც მაშინვე გაუშვა პირი და გაეცალა. ვაპნერი თავის დაფაზე აცოცდა და ნაპირისკენ გაცურა. ჰიდროკოსტიუმის გახდის შემდეგ ფეხზე ნაკბილარები აღმოაჩინა, მათგან რამდენიმე – საკმაოდ ღრმა ნაჭრილობევი. მეგობარი მას საავადმყოფომდე მიღწევაში დაეხმარა, სადაც 50 ნაკერი დაადეს.

ვაპნერის აზრით, ზვიგენმა მას ფეხში პირი ცნობისმოყვარეობის გამო ჩაავლო და შემდეგ, ვინაიდან მისი გემო არ მოეწონა, გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 იანვრისთვის

აშშ დოლარი — 2.6686

ევრო — 3.0766

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4078

100 რუსული რუბლი — 3.9875

ამინდის პროგნოზი 14 იანვრისთვის

10 იანვრიდან



რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

15 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



„მის სამყარო“ თხოვდება

სილამაზის კონკურს „მის სამყარო 2017“-ის გამარჯვებული სამხრეთაფრიკელი დემი-ლი ნელ-პეტერსი თავის შეყვარებულ ტიმ ტიბოუზე დაინიშნა, რომელიც ამერიკული ფეხბურთის პროფესიონალი მოთამაშეა. ამის თაობაზე ინფორმაცია სპორტსმენმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 31 წლის ტიბოუმ აღიარა, რომ 23 წლის ნილ-პეტერსთან ურთიერთობაში გასული წლის ივლისიდან იმყოფება.

– მადლობა, რომ თქვი „დიახ“ და ამით მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ადამიანად მაქციე, – დაწერა ტიბოუმ. მან იქვე დაამატა, რომ უზომოდ ბედნიერია, რადგან მთელ ცხოვრებას ნილ-პეტერსის გვერდით გაატარებს.

ტყისმჭრელი ხალხს მათივე სისხლისგან დამზადებული ძეხვით გამასპინძლებას სთავაზობს

ესპანეთის პროვინცია ტერუელის პატარა სოფლის მკვიდრმა ადამიანის სისხლისგან დამზადებული მორსილის (სისხლიანი ძეხვი) რეცეპტი გამოიგონა.

– ჯერჯერობით საკუთარი სისხლისგან დამზადებული ძეხვის ყველა დამგემოვნებელი გაოგნებული დარჩა იმის გამო, თუ ის რამდენად გემრიელი გამოდის, – ამტკიცებს 30 წლის ტყისმჭრელი რაულ ესკუინი. ერთი ულუფისთვის 40 მილილიტრი სისხლია საჭირო, რომელიც ბრინჯთან, ხახვთან, წყალთან და სხვადასხვა სანელებლებთან ერთად არის მოხრაკული. მიღებულ მასას კი ვეგეტარიანულ ძეხვს უმატებენ.

ესკუინს მიაჩნია, რომ მის მიერ გამოგონილმა კერძმა ვეგეტარიანელები უნდა დაინტერესოს.

– რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ადამიანებიც ცხოველები არიან და, აქედან გამომდინარე, ასეთი ძეხვიც ცხოველური წარმომავლობისაა, – განმარტავს ესპანელი მეტყევე, – მაგრამ, თუ ამ დროს ცხოველი არ ზარალდება, მაშინ ეს სრულიად შეესატყვისება ვეგეტარიანელების მორალურ პრინციპებს.

ტყისმჭრელი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მორსილი აუცილებლად იმ ადამიანის სისხლისგან უნდა იყოს დამზადებული, რომელიც მის ჭამას აპირებს. მისი აზრით, სხვისი სისხლისგან დამზადებული ძეხვის ჭამა უკვე კანიბალიზმია.

ესკუინი საკუთარი რეცეპტის დემონსტრირებისთვის მთელი ესპანეთის მასშტაბით ტურნეს მოწყობას აპირებს და მან უკვე შეათანხმა აღნიშნული ღონისძიების გამართვა მადრიდში, ბარსელონასა და სარაგოსაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

ერთი ახალგაზრდა მეორეს ეუბნება:

– ზამთრის არდადეგების დროს ვაპირებდი, ყველა იმ ადამიანს შევხვედროდი, რომლებიც მიყვარდა.

– მერე, შეხვდი?

– აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად ძილი მყვარებია.

•••

გამომძიებელი მოწმეს ეკითხება:

– უკაცრავად და დაკითხვის ხანგრძლივობამ ხომ არ გადაგღალათ?

– არა, რას ამბობთ, უკვე ოც წელზე მეტია, ცოლიანი ვარ!

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– თუ უხერხული არ იქნება, ხომ ვერ მეტყვით, რამდენი წლის ბრძანდებით?

– გამოიცანით! – კეკლუცობს ქალი, – მინიშნებას მოგცემთ, ჩემი გოგონა საბავშვო ბაღში დადის.

– რა, გამგედ მუშაობს?

•••

ნათესავი ქალს ეკითხება:

– აბა, როგორაა თქვენი ბავშვი, ერთობა საჩუქრებით?

– არა, ყველაფერი დალეწა... პლანშეტი, მანქანა, რკინიგზა, საათი...

– მართლა? და ჩვენი საჩუქარი?

– არა, თქვენი ჩაქუჩი მთელია...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ პოლიციასთან აუცილებლად ნელა უნდა ჩაიარო მანქანით?

– იმიტომ, რომ ისინი ბავშვებივით არიან, შეიძლება, მოულოდნელად გზაზე გამოცვივდნენ...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ხვალიდან დიეტაზე დავჯდები, მხოლოდ ლობსტერებს, ტრიუფელებსა და ომარებს შევჭამ.

– ბარემ პირდაპირ ფულის ჭამა დაგეწყო.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გახსოვს, 500 ლარი რომ მომეცი და არც კი დამიბრუნებია?

– მახსოვს.

– ხომ არ გავიმეოროთ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„გულუხვი“ ექიმი ყველა მსურველს მარიხუანას უწერდა



ამერიკის ნიუ ჯერსის შტატში ექიმი ნარკოტიკების მოხმარების უფლებით ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი და მას დროებით ჩამოერთვა სამედიცინო ლიცენზია.

ოთხი წლის განმავლობაში გინეკოლოგმა ენტონი ენზალოუნმა 3250 პაციენტი სამედიცინო მარიხუანის მოხმარების პროგრამაში ჩართო. ნიუ ჯერსის გენერალური პროკურორის გურბირ გრიუელის მტკიცებით, ექიმი ნარკოტიკის მოხმარების უფლებას პაციენტის შემოწმების ან მისი სამედიცინო ბარათის გაცნობის გარეშე გასცემდა. შედეგად მათ იღებდნენ ადამიანები, რომლებსაც არანაირი ჩვენება არ ჰქონდა იმისთვის, რომ სამედიცინო მარიხუანა მიეღოთ, რომელიც შტატის კანონით არის ნებადართული. ამის დამტკიცება შეძლეს გამომძიებლებმა, რომლებიც ენზალოუნთან პაციენტების სახით მივიდნენ.

პირველ მიღებაზე, რომლის დროსაც პროგრამაში ჩასმა ხდებოდა, ექიმი 350 დოლარს იღებდა. უფლების გაგრძელება ყოველ სამ თვეში ხდებოდა, რა დროსაც ექიმისთვის გადასახადი თანხა უკვე 100 დოლარს შეადგენდა. გამომძიებლების შეფასებით, ექიმმა ასეთი ხერხით მინიმუმ მილიონი დოლარის მიღება მოახერხა.

სამედიცინო საქმიანობაზე ლიცენზია ექიმს გამოძიების დასრულებამდე ჩამოერთვა. ენზალოუნი საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებულია. მას იმედი აქვს, რომ სამართლიანობა იზეიმებს და საკუთარ სამუშაოს დაუბრუნდება.

ამერიკაში თაღლითი მაწანწალა დააპატიმრეს

ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში უსახლკარო ვეტერანი ჯონ ბობიტი დააპატიმრეს, რომელიც ინტერნეტით შემოწირულობების შეგროვების თაღლითობაში იყო გარეული. მისი დაპატიმრების მიზეზი გათავისუფლების პირობების დარღვევა გახდა.

2017 წლის ნოემბერში კრაუდფანდინგურ ვებგვერდზე ბობიტისთვის საცხოვრებლის შესაძენად თანხის შეგროვება დაიწყო. კამპანიის ერთ-ერთი ინიციატორი კეიტლინ მაკლიური ამტკიცებდა, რომ უსახლკაროს დახმარება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მან თავისი უკანასკნელი ფულით საწვავი უყიდა შუა გზაზე გაჩერებული მისი მანქანისთვის.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მაკლიურმა და მისმა მეგობარმა მამაკაცმა მარკ დ'ამიკომ ბობიტზე აღნიშნული გულისამაჩუყებელი ისტორია იმისთვის გამოიგონეს, რომ მასმედიის ყურადღება მიეპყროთ და შემოწირულობები შეეგროვებინათ. ამ გეგმამ იმუშავა და უსახლკაროსთვის 400 ათასი დოლარი შეგროვდა. 2018 წლის დეკემბერში მათ პირობა დადეს, რომ შემომწირველებს ამ კამპანიაზე გაწეულ ხარჯებს აუნაზღაურებდნენ.

გასული წლის აგვისტოში ბობიტმა წყვილი სიცრუეში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მისთვის საცხოვრებელი სახლი არ უყიდიათ. მისი მტკიცებით, შეგროვილი თანხიდან მას ერგო მხოლოდ 75 ათასი დოლარი, სახლი ბორბლებზე, რომელიც მაკლიურისა და დ'ამიკოს ნაკვეთზე იდგა და ძველი პიკაპი, რომელიც მალევე გაფუჭდა.

ნოემბერში თაღლითობის სამივე მონაწილე დააპატიმრეს და გარიგებასა და თაღლითობაში დაადანაშაულეს. წყვილი მალევე გაათავისუფლეს, ხოლო ბობიტი პატიმრობაში დარჩა. 14 დეკემბერს ის სასამართლო პროცესის დასრულებამდე იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ ის საკუთარ მისამართს აცნობებდა, სამსახურის დაწყებას შეეცდებოდა და მუდმივად ივლიდა „ანონიმი ნარკომანების“ ორგანიზაციის შეკრებებზე.

იმის გამო, რომ ბობიტმა პირობები არ შეასრულა, ის ახალ სასამართლო სხდომაზე გამოიძახეს, რომელიც ნიუ ჯერსის შტატში უნდა გამართულიყო. ვინაიდან უსახლკარო არ გამოცხადდა, მისი დაპატიმრების ორდერი გაიცა, რის შემდეგაც ის ფილადელფიაში დააპატიმრეს.

დედა და მისი ორი შვილი უძველეს ტრადიციას ემსხვერპლნენ

ნეპალში დედა და მისი ორი ბავშვი უძველეს პრაქტიკას ემსხვერპლნენ, რომელიც მენსტრუაციის დროს ქალის ცალკე ქოხში გადაყვანას ითვალისწინებს.

35 წლის სოფლის მცხოვრები ამბა ბოხარა თავისი ცხრა და თორმეტი წლის შვილების გასათბობად, რომლებიც, ნეპალური წეს-ჩვეულების თანახმად, ასეთ დროს დედასთან უნდა ცხოვრობდნენ, ცდილობდა, ქოხში ცეცხლი დაენთო. იმის გამო, რომ ქოხს ფანჯრები არ ჰქონდა და ცუდად ნიავდებოდა, ოჯახის სამივე წევრი გაიგუდა. მათი ცხედრები დილით მისულმა ქალის დედამთილმა აღმოაჩინა. აღსანიშნავია, რომ საბანს კიდეები ჰქონდა დამწვარი, ხოლო ქალს – ფეხები.

ძველი ინდური ჩვეულების თანახმად, ქალი მენსტრუაციის დროს უწმინდურად ითვლება. ასეთ დროს მათ მამაკაცთან და მსხვილფეხა საქონელთან მიკარება ეკრძალებათ. ასევე არ შეუძლიათ ზოგიერთი სახის პროდუქტის მოხმარება და ოჯახის სხვა წევრებთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება.

წლის ამ დროს ნეპალში ღამით ტემპერატურა პლუს ორ გრადუსამდე ეცემა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. აბი; 3. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 8. ამა თუ იმ ხელობის ადამიანთა გაერთიანება; 10. სავანის ტიპი მდ.ორინოკოს ვაკეზე; 11. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 12. ს.თაყაიშვილის კინოროლი; 14. სითხის ან გაზის რაოდენობა დროის ერთეულში; 15. პირველობა; 16. ქანის მოყვითალო დანალექი; 19. უთითებო ხელთათმანი; 20. მუსიკალური საკრავი სპილენძის თეფშები ძვ.; 21. ორგანოლა.

შვეულად: 1. ოთხტერფიანი ღექსი; 2. წაგრძელებულტუჩიანი ცხოველი; 3. ლორდის ხსენება ინგლისში; 4. ლუპა; 5. რვიანის ფორმის ფუნთუშა; 6. ზღაპრული გრძნეული ქალი; 7. ხეობაზე ხიდისებური ნაგებობა; 9. ჩრდილო ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ველები; 13. გაზაფხულის თვე; 17. პარკოსანი მცენარე; 18. გამოქვაბული კლდეში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ